As there were no studies carried out over the sediments balance of Mingachevir reservoir for recent years, the assessment has been conducted based on materials of previous years. Before the construction of Mingachevir reservoir, the amount of suspended particles (deposits) in Mingachevir hydrological Point of Kura River was 889 kg/s or 28 mln. on/year (Table 4).

**Table 4**

**Average monthly and average annual water discharge ( $Q$ ,  $m^3 / s$ ), discharges of suspended sediments ( $R$ ,  $kg / s$ ) and turbidity ( $\rho$ ,  $q / m^3$ ) for Kura Mingachevir monitoring station, (1936-1952)**

Hydrological elements	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Average annual
Q	217	323	318	748	1048	771	376	224	241	314	313	239	420
$\rho$	415	410	849	2727	3531	2853	1862	1473	1494	1720	767	418	2117
R	90	95	270	2040	3700	2200	700	330	360	540	240	100	889
%	0,8	0,9	2,5	19,1	34,7	20,6	6,6	3,1	3,4	5,1	2,3	0,9	100

The amount of bottom deposits has been accepted as the ratio of 10% of suspended deposits flow and thus, prior to the construction of Mingachevir reservoir, abstraction of total deposits in Kura, Ganikh and Gabirry rivers was 978 kg/s (30,8 mln. ton) (Tarverdiev, 1974).

In first years after the reservoirs were filled up, the volume of total deposits in Kura, Ganikh (Alazani) and Gabirry (Iori) rivers was 7,6 mln.ton.

In 1982, Shamkir water reservoir with total capacity of 2,68km<sup>3</sup> was constructed 18 km upside from Mingachevir reservoir. The average annual abstraction of suspended deposits in the part of Kura River falling to Shamkir water reservoir area (the point of Khuluf) were 462 kg/s (14,6 mln.ton) for years 1950-1981 (Khalilov, 2003).

General information regarding the balance of deposits entered into Mingachevir reservoir after the commissioning of Shamkir reservoir (after 1982) and siltation of reservoir is provided in Table 5.

**Table 5**

**Sedimentation balance of the Mingachevir reservoir  
(After 1982)**

Total volume of sediments, mln.ton	River sediments			Coastal erosion	Washing slopes	Sedimentation period, year	
	Suspended sediments, mln.ton	Sediments rolled to the bottom, mln.ton	Total, mln.ton	Volume, mln.ton	Volume, mln.ton	50%-i	Whole
10,66	7,9	0,8	8,7	1,62	0,343	350	600

After the construction of Shamkir reservoir (1982), the deposits flow of Kura River is settled and transparent water is entered to Mingachevir reservoir. The amount of Kura River deposits flow between those two reservoirs (a distance of 18 km) depends on the erosion on the river-bed. However, one more reservoirs – Yenikand reservoir was constructed in 2000. Currently, the process of flushing of the river-bed in the area from the Yenikand reservoir to the Mingachevir reservoir happens only in 4 km distance.

Commissioning of the Mingachevir reservoir (1953) has led to considerable water transparency in the river mouth. Thus, during the first decade of commissioning of the Mingachevir reservoir (1953-1963), the average annual abstraction of suspended particles in the Salyan Point of Kura River was reduced by 50% and consisted of 670 kg/s.

### CONCLUSION

A large number of reservoirs have been built in the Kura River basin, the operation of which inevitably impacts on natural runoff. It is important to quantify the impacts of a cascade reservoir group operation on the hydrological regime in the downstream Kura River. Dams have important impact on hydrological regime of Kura river, primarily through changes in magnitude, timing and frequency of flow. According to the data from monitoring conducted over the Mingachevir reservoir level, the water level in the reservoir has been decreasing. Main part of income of water and sedimentation balance of Mingachevir reservoir consists of rivers water and sediments.

### REFERENCES

1. Ahmadzadeh A.J., Hashimov A.J. Cadaster of amelioration and water economy systems. Baku, 2006, 272 p.
2. KhalilovSh.B. Azerbaijan reservoirs and their environmental problems. Baku, 2003, 310 p.
3. Mammadov M.A. Hydrography of Azerbaijan. Baku, 2012, 253 p.
4. Tarverdiev R.B. Sedimentation of the Mingachevir reservoir. Baku, 1974, 155 p.

## მთის წყალსაცავებისა და მათი კასკადების ენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობა

ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი,  
გ. ნატროშვილი, დ. ფოცხვერია, ლ. ბილანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის  
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 60<sup>ბ</sup>, 0179, ქ. თბილისი, საქართველო

*E-mail:* irinajord48@mail.ru

### შესავალი

ქვეყნების ეკონომიკის განვითარებამ განაპირობა წყლის მოხმარების ზრდა. ამავე დროს, წყალსაცავები - წყლის რესურსების მართვის ყველაზე ეფექტური მეთოდია. წყლის რესურსების გამოყენების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ იმ ტერიტორიის რეგიონალური მახასიათებლების სპეციფიკა. ამ პრობლემის აქტუალობა მთისწინეთისა და მთის ზონების პირობებში განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით:

- ვაკის ტერიტორიებზე წყლის საშუალო წლიური ჩამონადენი აუზის 1,0 კმ<sup>2</sup>-დან არ აღემატება 200-300 ათ მ<sup>3</sup>-ს, მაღალმთიან რეგიონებში - 350-500 ათ მ<sup>3</sup>-ს; ვაკის წყალსაცავების ამ მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად - 1,0 მ დაწნევაზე საჭიროა მიწის რესურსების დანაკარგები 142,0 კმ<sup>2</sup>-მდე, ხოლო წყლის აკუმულაციის 1,0 მ<sup>3</sup> - მიწის რესურსების 138,0 კმ<sup>2</sup>-მდე.
- მაღალმთიანი წყალსაცავების გამოყენებისას 1,0 მ-ის დაწნევის უზრუნველსაყოფად საჭიროა მიწის რესურსების დანაკარგები 0.16 კმ<sup>2</sup> -მდე, ხოლო წყლის აკუმულაციის 1,0 კმ<sup>3</sup>-ის უზრუნველსაყოფად - 35,0 კმ<sup>2</sup>-მდე.

### ძირითადი ნაწილი

საქართველოს მთისა და მთისწინეთის რეგიონების წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია ორ მთავარ ფაქტორზე - მდინარის ქსელის ხშირ განშტოებასა და რელიეფის ჰიპსომეტრული სიმაღლეების განსხვავებაზე. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ: ელექტროენერჯის წარმოების ზრდას, ტერიტორიების გაწყლოვანებას სარწყავი არხებით, ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებას. საქართველოში მთის წყალსაცავების აგება განპირობებულია მდინარის კალაპოტის მნიშვნელოვანი დახრილობით, წყალსაცავების დიდი სიღრმით, ფერდობების შემადგენელი ქანების მაღალი სიმტკიცითა და წყალგაუმტარობით, დატბორვის მცირე მაჩვენებლებით და, როგორც წესი, გარემოზე მცირე უარყოფითი გავლენით.

საქართველოს მდინარეების ფონდი წყლის მოხმარების მთავარი წყაროა. საქართველოში 26 060 მდინარეა, რომელთა ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1, 2 [Иорданишвили И. К. და სხვ., 2018].



ცხრილი 1

საქართველოს მდინარეთა ძირითადი მაჩვენებლები

ტერიტ. ფართობი, ათ კმ <sup>2</sup>	მდინარეთა რაოდენობა (მრიცხველი), სიგრძე (მნიშვნელი), კმ					მდინარეთა ქსელის სიხშირე, კმ/კმ <sup>2</sup>
	ძალიან პატარა, $L \leq 25$ კმ	პატარა, $L \geq 26 \div 100$ კმ	საშუალო, $L = 100 \div 500$ კმ	მსხვილი, $L > 500$ კმ	სულ	
<b>აღმოსავლეთ საქართველო</b>						
37 214	$\frac{8869}{19544}$	$\frac{77}{3020}$	$\frac{4}{971}$	$\frac{1}{513}$	$\frac{7951}{23925}$	1,14
<b>დასავლეთ საქართველო</b>						
32 434	$\frac{18036}{30946}$	$\frac{64}{2723}$	$\frac{9}{1373}$	—	$\frac{18109}{35042}$	1,07
<b>სულ</b>					<b><math>\frac{26060}{58967}</math></b>	


ცხრილი 2

წყლის მარაგი საქართველოს მდინარეებში

რეგიონი	რეგიონის ფართობი, ათ. კმ <sup>2</sup>	წყალშემკრების ფართობი, კმ <sup>2</sup>	ყოველწლიური საშუალო ადგილობრივი ჩამონადენი, კმ <sup>3</sup>	ყოველწლიური საშუალო ჩამონადენი მეზობელი ტერიტორიებიდან, კმ <sup>3</sup>	ყოველწლიური საშუალო საერთო ჩამონადენი, კმ <sup>3</sup>	%
აღმოსავლეთ საქართველო	37,28	46,66	12,64	2,07	14,70	22,3
დასავლეთ საქართველო	32,42	52,60	43,60	7,44	51,13	77,7
<b>სულ</b>					<b>65,84</b>	<b>100</b>

საქართველოს ტერიტორიაზე სულ 51 წყალსაცავია, რომელთაგან ფუნქციონირებს 36. ძირითადი წყალსაცავების განლაგება მოყვანილია ნახ. 1-ზე.





ნახ. 1. საქართველოს წყალსაცავების ადგილმდებარეობის სქემა (სრული მოცულობით > 1 მლნ მ<sup>3</sup>)

სხვადასხვა ტიპის წყალსაცავების რაოდენობრივი საშუალო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 3 [Варазашвили Н.Г., Гобечия Г. Н., 1996].

ცხრილი 3


წყალსაცავების ძირითადი მაჩვენებლები

№	ძირითადი მაჩვენებლები	აღნიშვნა	განზ.ერთ.	რაოდენობრივი მაჩვენებლები		
				ვაკის წყალსაცავები	მთისწინეთის წყალსაცავები	მთის წყალსაცავები
1	რელიეფის მაჩვენებელი	“a”		1.0 ÷ 0.6	0.6 ÷ 0.29	0.29 ÷ 0.1
2	მორფომეტრიული მაჩვენებელი	H/F		$9 \cdot 10^{-9} \div 2 \cdot 10^{-7}$	$9 \cdot 10^{-7} \div 2 \cdot 10^{-5}$	$9 \cdot 10^{-4} \div 2 \cdot 10^{-3}$
3	წყლის დონის მერყეობის ამპლიტუდა	A	მ	> 6	6 ÷ 20	> 20
4	მოცულობის გამოყენება	V <sub>სრ</sub> /V		0.4 ÷ 0.6	0.5 ÷ 07	0 ÷ 0.95
5	მოცულობის ნამატი დაწნევაზე	V <sub>სრ</sub> /H	მლნ მ <sup>3</sup> /მ	500 ÷ 2000	50 ÷ 500	1.0 50.0
6	მოცულობისა და სარკის ფართობის თანაფარდობა	V <sub>სრ</sub> /F	მლნ მ <sup>3</sup> /კმ <sup>2</sup>	5 ÷ 15	20 ÷ 50	50 ÷ 120
7	დატბორვის ფართობის და სასარგებლო მოცულობის თანაფარდობა	S <sub>დატ</sub> /V <sub>სრ</sub>	კმ <sup>2</sup> /მლნ მ <sup>3</sup>	120 ÷ 150	50 ÷ 110	25 ÷ 46
8	დატბორვის ფართობი 1.0 მ დაწნევაზე	S <sub>დატ</sub> /H	კმ <sup>2</sup> /მ	65 ÷ 250	3 ÷ 50	0.08 ÷ 0.25
9	დატბორილი ფართობის და სარწყავი ფართობების ნამატის თანაფარდობა	S <sub>დატ</sub> /S <sub>სარწყ</sub>		0.024	0.025 ÷ 0.1	0.46 ÷ 0.90

ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი,  
გ. ნატროშვილი, დ. ფოცხვერია, ლ. ბილანიშვილი

10	ელექტროენერჯის გამო- მუშავება წყლის მოცულო- ბის ერთეულზე	$W/V_{სრ}$	კვტსთ/მ <sup>3</sup>	0.115 ÷ 0.65	0.60 ÷ 0.80	0.80 ÷ 2.90
11	ელექტროენერჯის გამო- მუშავება დატბორილი ფართობის ერთეულზე	$W/S_{დატ.}$	მლრდ კვტსთ/კმ <sup>2</sup>	0.50 ÷ 0.65	0.65 ÷ 0.80	0.80 ÷ 1.80
12	წყალმარჩხი ფართობის პროცენტი წყლის სარკის საერთო ფართობიდან ნმდ-ზე	$F_{წყალმ}$	%%	15 ÷ 20	6 ÷ 10	4 ÷ 6

სხვადასხვა ტიპის წყალსაცავისათვის მთიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა (a) მე-3 ცხრილში გამოითვლება ფორმულით  $V_{სრ} = Kw \cdot H^a$ , სადაც  $V_{სრ}$  არის წყალსაცავის სრული მოცულობის მნიშვნელობა,  $Kw$  - წყალსაცავის მოცულობის კოეფიციენტი (მთის წყალსაცავებისთვის  $Kw=1,8 \div 2,7$ ),  $H$  - წყალსაცავის სიღრმე (ნახ. 2).



ნახ. 2. წყალსაცავების სრული მოცულობის ( $V_{სრ}$ ), სიღრმის ( $H$ ), მთიანობის კოეფიციენტის ( $a$ ) და მოცულობის კოეფიციენტის ( $Kw$ ) დამოკიდებულება.

1 - ვაკის წყალსაცავების მოცულობის მრუდი ( $a=0,76$ ;  $Kw=3,2$ ); 2 - იგივე მთისწინეთის წყალსაცავების ( $a=1,8$ ;  $Kw=0,37$ ); 3 - იგივე მთის წყალსაცავების ( $a=0,27$ ;  $Kw=2,32$ ); 4 - იგივე მაღალმთიანი წყალსაცავების ( $a=0,176$ ;  $Kw=2,7$ ); ხაზების -  $a = \log V_{სრ} / \log H = \text{tg} \alpha$  - დახრილობის კუთხის ტანგენსია,  $\log Kw$  - ღერძზე ( $\log V_{სრ}$ ) მონაკვეთი

საქართველოში მელიორაციის განვითარების დასაწყისი თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნით. იმის გამო, რომ მდინარეების ჩამონადენი პრაქტიკულად აკმაყოფილებდა მცირე მეურნეობების საჭიროებებს, წყალსაცავები საქართველოში არ შენდებოდა. სოფლის მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ (XIX საუკუნიდან) მოითხოვა მორწყვისთვის მაღალი ნიშნულების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ბუნებრივი ჩამონადენის ხელოვნური რეგულირება. პირველი წყალსაცავი საქართველოში (ჯანდარის) აგებულია 1862 წელს. წყალსაცავების მშენებლობის თანამედროვე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის, საქართველოს წყალსაცავებში წყლის საერთო

მოცულობაა 3,482 კმ<sup>3</sup> და მეოთხე ადგილს იკავებს საქართველოს წყლის მარაგის ყველა კომპონენტს შორის (ცხრ. 4).

ცხრილი 4

საქართველოს წყლის მარაგის კომპონენტები

№	წყლის მარაგის მარკენებლები	წყლის მოცულობა, კმ <sup>3</sup>			
		აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო	სულ	სულ %
1	მდინარეები	14.7	51.13	65.84	61.83
2	მყინვარები	5.08	18.74	23.82	22.37
3	მიწისქვეშა წყლები	6.4	4.2	10.6	9.96
4	წყალსაცავები	1.9929	1.4891	3.482	3.23
5	ჭაობები	-	1.86	1.86	1.75
6	ტბები	0.422	0.30	0.72	0.69
7	მინერალური წყლები	0.001	0.01	0.101	0.09
8	თერმული წყლები	0.04	0.02	0.06	0.06
	სულ	28.64	77.84	106.48	100

მთის მდინარეებზე მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების აგება ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოში 320-მდე მდინარეა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი სხვაობა სათავის და შესართავის ნიშნულებს შორის და მათი გამოყენება შესაძლებელია ჰიდროენერგეტიკის მიზნით.

საქართველოს მდინარეების ჰიდროპოტენციური (შესაძლო) სიმძლავრე 25.0 მლნ კვტ-ს შეადგენს, რაც შეესაბამება პოტენციურ ჰიდროელექტრო-გამომუშავებას 220,0 მლრდ კვტსთ წელიწადში. 2020 წლისათვის საქართველო წელიწადში მხოლოდ 9.691 მლრდ კვტსთ ჰიდროელექტროენერჯიას აწარმოებს და იგი ჰიდროენერგეტიკის პოტენციური ჰიდროელექტროენერჯის გამომუშავების მხოლოდ 4,5%-ს შეადგენს, ცხრ. 5.

ცხრილი 5

საქართველოში ელექტროენერჯის ფაქტიური გამომუშავების მონაცემები (2020 წლის)

ელექტროენერჯის ჯამური გამოყენება, მლრდ კვტსთ წელიწადში	ადგილობრივი გამომუშავებული ჰიდროელექტრო ენერჯია, მლრდ კვტსთ წელიწადში	ელექტროენერჯის იმპორტი, მლრდ კვტსთ წელიწადში	ადგილობრივი ალტერნატიული ელექტროენერჯია, მლრდ კვტსთ წელიწადში
13,191	9.691	2,0	1.5

საქართველოში ქარისმიერი პოტენციური (შესაძლო) ენერჯის მნიშვნელობა შეფასებულია 130,0 მლრდ კვტ სთ/წელიწადში [Сванидзе Г.Г., Гагуа В. П., Сухишвили Э. В. 1987]. საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად 6 ქარის ელექტროსადგურია, რომელთა საერთო სიმძლავრე 18,0 მლნ კვტ-ია. მათი მუშაობისათვის საჭიროა სულ მცირე 4-6 მ/წმ სიჩქარის ქარები (10,0 მ სიმაღლეზე) და თავისუფალი ტერიტორიები. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გარემოზე არასასურველი ზემოქმედება, ესენია: ხმაურის ეფექტები

(20 ჰვ-მდე); ჰაერის ეკრანიზებული ეფექტები, რომლებიც ცვლის ტერიტორიის ქარის სიტუაციას; სატელევიზიო მაუწყებლობის გაუარესება; ფრინველების გადაფრენის ტრასებზე ზემოქმედება; ტურბინების ფრთების მოწყვეტა; ქარის ელექტროსადგურის ცვალებადი რეჟიმით მუშაობა ქარის სიძლიერისა და მიმართულების დიდი ცვალებადობის გამო; მნიშვნელოვანი ტერიტორიების გამოყოფა ქარის ელექტროსადგურებისათვის; ქარისმიერი ეროზიის გააქტიურება. ამჟამად საქართველოში ქარის ელექტროსადგურების აგება არ არის აუცილებელი.

საქართველოში თბოელექტროსადგურები უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნებრივი გარემოს მთელ რიგ ელემენტებზე: სახნავ-სათესებზე (ტერიტორიის დაბინძურება); წყლის აუზებზე (წყლის ტემპერატურის ცვლილება); ბინძურდება ატმოსფერო და ბიოსფერო (მაგნი აირები და მტვერი, საწვავის ნარჩენები და წიდა). თბოელექტროსადგურების ექსპლუატაციისას ატმოსფეროს დაბინძურების გამო მაგნი ნივთიერებების კონცენტრაცია ატმოსფეროში ქ. რუსთავსა და გარდაბანში მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციაზე 4-12-ჯერ მეტია. საწვავის წვისა და ატმოსფეროს გასუფთავების ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიუხედავად თბოელექტროსადგურების მშენებლობა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება უახლოეს მომავალში - არ არის შესაძლებელი (ცხრ.6).

საქართველოში მზის ენერჯის გამოყენება არახელსაყრელია მზის დანადგარებით: მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაჩრდილვით, ჰაერისა და წყლის დათბობით, ქარის მიმართულებების ცვლილებებით, სამშენებლო მასალების დიდი მოცულობის მოთხოვნით და ა. შ. საქართველოში მზის ელექტროენერჯის გამოყენება ჯერ ადგილობრივი ხასიათისაა და საექვოა რომ განვითარდეს. თუმცა, ამჟამად დგას საკითხი 50 მლნ ვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის მშენებლობის, ცხრ. 6.

ელექტროენერჯის მიღება შესაძლებელია დერივაციისა და მცირე სარწყავი არხების გამოყენებითაც. საქართველოს მაგისტრალური არხების პოტენციური წლიური ენერგეტიკული შესაძლებლობა აღწევს 142,783 მლნ კვტსთ წელიწადში. ასეთი მცირე ჰიდროელექტროსადგურების ზეგავლენა გარემოზე უმნიშვნელოა (ცხრ 6).

### ცხრილი 6

#### ელექტროენერჯის სხვადასხვა წყაროს გამოყენების რისკ-ფაქტორები

ენერჯის წყაროს სახეობები	შესაძლო რისკ-ფაქტორები
თბური ელექტროსადგურები	ატმოსფეროს და წყალთა მეურნეობის ობიექტების დაბინძურება
მზის ელექტროსადგურები	ელექტრომოწყობილობების ავარიები მათი შესაძლო გადახურებისა და ანთებადობის გამო
ქარის ელექტროსადგურები	ტურბინების ფრთების მოწყვეტის რისკი და მათი 800,0 მ-დე გადაადგება ძლიერი ქარის დროს
ელექტროსადგურები ირიგაციულ სისტემებზე	-
ჰიდროელექტროსადგურები	კაშხლების ნგრევა გარღვევის ტალღებით

წყალსაცავების კასკადებზე ჰიდროელექტროსადგურების შექმნისას ყალიბდება ენერგეტიკული კავშირები. ამ შემთხვევაში, ზედა წყალსაცავი ზრდის ელექტროენერჯის გარანტირებულ სიმძლავრეს და გამომუშავებას არა მხოლოდ ამ ჰიდროელექტროსადგურის, არამედ კასკადის ქვედა საფეხურებზეც კი. ყოველივე ზემოთქმულიდან დგინდება, რომ მდინარის ზედა ნაწილში მარეგულირებელი წყალსაცავებისა და მათი კასკადების შექმნა ენერგიულად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მორგებულია. წყალსაცავებზე კასკადების

მშენებლობა ითვლება წყალთა მეურნეობის განვითარების კანონზომიერ პროცესად. მაღალმთიან რეგიონებში შექმნილი კასკადის ტიპური მაგალითია მდ. რაზდანზე (სომხეთი) აგებული ჰიდროელექტროსადგურების სევან-რაზდანის კასკადი. იგი მოიცავს 9 ჰიდროელექტროსადგურს, რომელთა საერთო სიმძლავრეა 900 მგვტ, კასკადზე მოქმედებს 17 სარწყავი არხი, რომლებიც რწყავენ 100 000 ჰა მიწის ნაკვეთს. ამ კასკადის ეკოლოგიური პრობლემა მხოლოდ სევანის ტბაში წყლის დონის შემცირება და მდ. რაზდანის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლაა. წყალსაცავების კასკადების აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში (ცხრ. 7).


ცხრილი 7

100 მ-ზე მეტი სიღრმის მსხვილი წყალსაცავების კასკადების მაჩვენებლები

№	მდინარე	ქვეყანა	საფეხურების რაოდენობა	მოცულობა, კმ <sup>3</sup>		წყლის სარკის ფართობი, ათ. კმ <sup>2</sup>	კასკადის სიგრძე, კმ	გამოყენების სახეობა
				სრული	სასარგებლო			
1	2	3	4	5	6	7	8	9
<b>ევროპის კასკადები</b>								
1	ტახო	ესპანეთი	11	7,6	6,0	0,3	500	ი, ე
2	ვოლგა	რუსეთი	10	143,8	71,6	20,7	3000	ე, ნ, ი, ხ, ა
3	ვლტავა	ჩეხეთი	7	1,3	0,9	0,1	200	ე, ნ, წ, მ
4	დნეპრი	უკრაინა	6	43,8	18,4	7,0	900	ე, ნ, ი, ხ
5	არდა	ბულგარეთი	5	1,6	1,0	0,1	100	ე, ი
6	დუერო	ესპანეთი	5	2,3	1,1	0,2	300	ე, ი, წ, მ
7	სულაკი	დაღესტანი	4	3,6	1,7	0,1	60	ე, ი
<b>აზიის კასკადები</b>								
8	ევვრატი	თურქეთი სირია, ერაყი	7	138,6	55,0	5,5	—	ი, ე, წ
9	ნარინი-სირ-დარია	ყირგიზეთი	6	30,1	21,4	1,8	250	ი, ე, წ
10	ანგარა	რუსეთი	3	276,3	97,4	40,3	1500	ე, ნ, ხ
<b>ჩრდილოეთ ამერიკის კასკადები</b>								
11	კოლუმბია	აშშ	15	56,3	20,0	1,5	1500	ე, ა, ნ
12	ტენესი	აშშ	15	32,4	16,0	3,5	1290	წ, ე, ნ, მ
13	კოლორადო	აშშ	11	78,2	66,6	1,8	1400	ი, ე, წ
14	მისური	აშშ	9	97,6	83,4	4,9	500	წ, ი, ე, ნ
15	ლა-გრანდი	კანადა	5	168,6	68,6	9,6	650	ე
16	მანიკუაგანი	კანადა	5	156,7	—	2,5	400	ე
<b>სამხრეთ ამერიკის კასკადები</b>								
17	რიო-გრანდე	ბაზილია	10	51,8	—	3,3	—	ე
18	პარანა	ბაზილია	8	118,4	—	6,2	—	ე


პირობითი აღნიშვნები: ე-ენერგეტიკა; ნ-ნაოსნობა; ხ-ხე-ტყის დაცურება; მ-წყალმომარაგება; ი-ირიგაცია; წ-წყალმომარაგებთან ბრძოლა; ა-წყლის აკუმულაცია კომპლექსური მიზნით

საქართველოში აგებულია ჰიდროელექტროსადგურების რიგი კასკადი, ესენია: მტკვრის, რიონის, ხრამის, შაორის, შაორი-ტყიბულის, ენგურის, ნახ. 3÷7.




ნახ. 3. მდ. მტკვრის გამოყენების სქემა


1 - წყალსაცავები; 2 - არხები; 3 - მდინარეთა აუზების წყალგამყოფი;  
 4 - წყალსატარები; 5 - ჰესები




ნახ. 4. მდ. რიონის გამოყენების სქემა



ნახ. 5. მდ. ხრამის გამოყენების სქემა



ნახ. 6. მდ. შაორი-ტყიბულის გამოყენების სქემა



ნახ. 7. ენგურის ჰესზე განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების საერთო სქემა:

- 1 – გამომყვანი არხი; 2 – ვარდნილჰესი IV; 3 – ვარდნილჰესი III; 4 – ვარდნილჰესი II;
- 5 – ვარდნილჰესი I; 6 – ვარდნილჰესი I-ის კაშხალი; 7 – გამყვანი არხი; 8 – ღია გამანაწილებელი მოწყობილობა – 500 კვტ; 9 – ენგურჰესის მიწისქვეშა შენობა; 10 – გასათანაბრებელი რეზერვუარი;
- 11 – დერივაციული გვირაბი; 12 – თაღვანი კაშხალი; 13 – მდ. ენგურის ჩამონადენის მდ. ერისწყალში გადამდები ნაგებობები (წყალსაშვი კაშხალი, წყალმიმღები გამრეცხი რაბი);
- 14 – იგივე, არხები №1 და №2; 15 – იგივე, უდაწნეო გვირაბით

საქართველოს მაღალმთიანი და მთისწინეთის მდინარეები ხასიათდება მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით, მდინარეების პოტენციური ჯამური სიმძლავრე 25,0 მლნ კვტ-მდეა, რაც შეესაბამება პოტენციურ ენერგიას 220,0 მლრდ კვტსტ წელიწადში. ამავე დროს 45% (95,863 მლრდ კვტსტ/წელ) კონცენტრირებულია ხუთ მთავარ მდინარეზე, ცხრ. 8.

ცხრილი 8

საქართველოს მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი

№	მდინარის აუზი	წყალშემკრები ფართობი, კმ <sup>2</sup>	მდინარეების საშუალო წლიური პოტენციური ენერგიის გამომუშავება, მლრდ კვტსტ/წელიწადში
1	მტკვარი	18243	22, 605
2	რიონი	13418	30, 556
3	ენგური	4062	21, 039
4	კოდორი	2036	13, 509
5	ბზიფი	1502	8, 153
	სულ	39261	95, 863

ჰიდროელექტროენერგიის ასეთი კონცენტრაცია განსაზღვრავს ამ მდინარეებზე ჰიდროენერგეტიკული სისტემის შექმნის მიზანშეწონილობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი იცვლება მდინარის აუზის მთიანობის შესაბამისად - როგორც წესი, პოტენციური ენერგიის 80% კონცენტრირებულია მდინარეების ზედა და შუა ნაწილებში.



რაც შეეხება მშენებლობისთვის დაგეგმილ ჰიდროელექტროსადგურებს, მათი ელექტროენერჯის ჯამურმა სიმძლავრემ შეიძლება 3,566 მლნ კვტ-სთ მიაღწიოს. ამ ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შეყვანა გადაწყვეტს როგორც საქართველოს ენერგომოთხოვნილებებს, ასევე ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობას (ცხრ. 9).

**ცხრილი 9**

**საქართველოს პერსპექტიული ჰიდროელექტროსადგურების მონაცემები**

№	დასახელება	სიმძლავრე, მლნ კვტ
1	ხუდონის	0, 700
2	ტობარის	0, 600
3	ჩხალტის	0, 480
4	ორბელის	0, 460
5	ნამახვანის	0, 400
6	ნენსკრა	0, 280
7	ონის ჰესების კასკადი (ონი I და ონი II)	0, 206
8	ცაგერის	0, 180
9	პარის	0, 140
10	ახალციხის	0, 120
	<b>სულ</b>	<b>3, 566</b>

ბოლო წლებში საქართველოში გაჩნდა მოძრაობები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ, რაც სრულიად არაგონივრული და დილეტანტური ხასიათისაა. არ არის საჭირო გამოცხადდეს „ჯვაროსნული ომები“ ჰიდროენერგეტიკის მშენებლობისა და მისი განვითარების წინააღმდეგ.


ჩვენ გავგაჩნია ალპებისა და, კერძოდ, შვეიცარიის ენერგორესურსების გამოყენების პრაქტიკა, სადაც მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 95% უკვე გამოყენებულია, იქ ექსპლუატაციაშია 200-ზე მეტი მთის წყალსაცავი, სადაც აშენებულია 450-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური, ხოლო ჰიდროენერჯის გამომუშავება აღწევს 35.0 მლრდ კვტსთ/წელიწადში [Kandelaki N., ... 2018]. ამან განსაზღვრა ქვეყნის სრული ელექტრიფიკაციით უზრუნველყოფა. მცირე წყალსაცავების მასიური აგება შვეიცარიასა და ავსტრიაში დაფიქსირდა XX საუკუნის დასაწყისიდან. შვეიცარიის არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მთის წყალსაცავების ექსპლუატაცია ძალზე მნიშვნელოვანია მთისწინეთისა და მთის რეგიონების ენერგომომარაგების, ბუნებრივი ლანდშაფტების გამდიდრების, რეკრეაციის გაფართოებისთვის და ა.შ. წყალსაცავების აგება შვეიცარიაში განსაზღვრავს ელექტროენერჯის ღირებულების შემცირებას, ტურისტების შემოდინებასა და საკურორტო ტერიტორიების განვითარებას. წყალსაცავები შვეიცარიაში (რომლის ტერიტორია თითქმის 2-ჯერ მცირეა, ვიდრე საქართველოსი) მდებარეობს 500 მეტრზე მეტი სიმაღლის ჰიფსომეტრულ ნიშნულზე (ცხრილი 10).

საქართველოსა და შვეიცარიის წყალსაცავების განაწილება ჰიპსომეტრიული ნიშნულების მიხედვით ( $V_{სრ} > 50.0$ , მლნ მ<sup>3</sup>)


წყალსაცავების მაჩვენებლები	განზ. ერთ.	ნშდ-ს ჰიპსომეტრიული ნიშნული, მ				
		< 400 მ	400-1000 მ	1000-1500 მ	1500-2000 მ	>2000 მ
წყალსაცავების რაოდენობა						
შვეიცარია	ცალი	2	11	6	24	14
საქართველო		6	17	5	3	0
წყალსაცავების სრული მოცულობის ჯამი - $\Sigma V_{სრ}$						
შვეიცარია	მლნ მ <sup>3</sup>	91.0	516.0	204.0	1475.0	1090.00
საქართველო	მლნ მ <sup>3</sup>	254.25	2148.68	471.6	317.38	
წყალსაცავების ზედაპირის ფართობის ჯამი $\Sigma F$						
შვეიცარია	კმ <sup>2</sup>	4.8	47.3	14.3	38.3	18.6
საქართველო	კმ <sup>2</sup>	28.5	66.86	28.62	36.54	0
$\Sigma V_{სსს} / \Sigma V_{სრ}$						
შვეიცარია	%	80.0	68.0	63.0	92.0	98.0
საქართველო	%	27.0	64.0	91.0	93.0	0

შვეიცარიის მაღალმთიანი წყალსაცავების (გრანდ დიქსანი, ემოსონი, გეპაჩი, ზამერნზოლდენი და ა.შ.) სარკის ფართობის ჯამი აღწევს 4.5 კმ<sup>2</sup>-ს, წყალსაცავების მაქსიმალური სიგრძე - 25 კმ-ს, სიღრმე - 300 მ-ს. შვეიცარიელი მკვლევარების აზრით, მთის წყალსაცავების ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე შემოიფარგლება სანაპიროზე ვიწრო ზოლით და მდინარის ხეობის მონაკვეთებით წყალსაცავის ქვედა ბიეფში. ზოლის დატბორვის პროცესები სუსტადაა განვითარებული. ამ მონაცემების თანახმად, აღნიშნეს, რომ მთლიანობაში მთისწინეთისა და მთის წყალსაცავები აუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს. მაგალითად, მდ. ენზე აგებული წყალსაცავების კასკადმა გააუმჯობესა წყლის ხარისხი, შეამცირა ნიადაგის ეროზია და გაამდიდრა სანაპირო მცენარეული საფარით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მთის წყალსაცავები ითვლება ყველაზე ეფექტურად როგორც მდინარის ჩამონადენის რეგულირების მახასიათებლების თვალსაზრისით, ასევე გარემოზე მცირე ზემოქმედებით და მიწის ნაკლები დანაკარგებით. მთის წყალსაცავების ეფექტურობის განსაზღვრისას განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ალპების ჰიდრო-რესურსების გამოყენების პრაქტიკა, რომლის ტერიტორიის ექსპოზიცია აღმოსავლეთ საქართველოს იდენტურია, კერძოდ: ორივე ჰიდროსისტემა მდებარეობს დედამიწის ერთსა და იმავე ნახევარსფეროზე - 44°-48° განედებს შორის, იდენტური იზოთერებით - 10°C-20°C. ალპებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების (მტკვარი და პო) მიმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა; ამ მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმიც იდენტურია (ნახ. 8, 9).



ნახ. 8. ალპებისა და საქართველოს ტერიტორიების განედებისა და იზოთერმების მნიშვნელობები



ნახ. 9. მდ. მტკვრისა და მდ. პო-ს საშუალო თვიური ხარჯები (საშუალო წლიურ ხარჯებთან მიმართებაში - პროცენტში)  
1 - მდ. პო (ქ. ბელინსონთან); 2 - მდ. მტკვარი (ქ. თბილისთან)

ალპების მთის წყალსაცავები, ძირითადად, მდებარეობს მდ. პო-ს ზედა ნაწილში, რომლის ჩამონადენის რეგულირება ხორციელდება მთის წყალსაცავების გამოყენებით - ეს ძალზე ეფექტურია გაზაფხულზე წყალსაცავში წყლის დაგროვების და ზაფხულში - მისი ირიგაციისთვის გამოყენებისათვის, ხოლო ზამთარში - ენერგეტიკული მიზნებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ნორვეგიის გამოცდილება, რომლის მოსახლეობა 5,3 მლნ-ია და რომლის ტერიტორიაზეც შექმნილია 1600-ზე მეტი რაოდენობის ჰიდროელექტროსადგური, აქედან 1000-ზე მეტი წყალსაცავიანი ჰესია. ნორვეგია ჰიდროგენერაციით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში - მეექვსე ადგილზეა.

## დასკვნა

საქართველოს მთის მდინარეებზე წყალსაცავის ჰიდროსისტემის შექმნა ეფექტური მეთოდია წყლის რესურსების მართვის მიზნით ირიგაციისა და ჰიდროენერგეტიკისთვის. საქართველოში ენერგორესურსებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, ამიტომ ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველო მიეკუთვნება ქვეყანას, რომელსაც თავად შეუძლია უზრუნველყოს ენერჯისა და ირიგაციის საჭიროებები.

მაღალმთიან რეგიონებში ელექტროენერჯის გამომუშავების ყველაზე რაციონალური სქემაა - მთავარი მდინარისა და მისი შენაკადების ზედა ნაწილებში მაღალი ელექტროენერგოდანადგარების აგება, ხოლო მდინარის ქვედა მონაკვეთებში - ირიგაციული ნაგებობების. საქართველოს მთის მდინარეების ზედა ნაწილი მდებარეობს ღრმა ხეობებში, ამიტომ აქ სასურველია მაღალი კაშხლების შექმნა, ხოლო ქვედა ნაწილი გამოიყენება ირიგაციისათვის.

შვეიცარიისა და საქართველოს ოროჰიდროგრაფიული პირობების შედარებამ გამოავლინა მათი იდენტურობა და საქართველოს მთისა და მთისწინეთის პირობებში წყალსაცავების მშენებლობის ეფექტურობა. ყოველწლიურად საქართველო 2,0 მლრდ კვტსთ ელექტროენერჯიას ყიდულობს, რაზეც იხარჯება 80,0 -100,0 მლნ აშშ დოლარი.

ამრიგად, საქართველოს მთის მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების აგება - ეკოლოგიურად და ეკონომიურად მეტად ეფექტურია, ისინი გამოირჩევა მოქნილი მენეჯმენტით, მათ შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ და დაფარონ ელექტროენერჯის პიკური დატვირთვები.

## ლიტერატურა

1. Варазашвили Н.Г., Гобечия Г.Н. Инженерно-экологические проблемы создания и эксплуатации водохозяйственных систем с водохранилищами вгорных регионах. «Мецниереба», Тбилиси, 2002, 512 стр.
2. Иорданишвили И.К., Гавардашвили Г.В., Иремашвили И.Р., Вартанов М.В., Иорданишвили К. Т. Кадастр водных запасов Грузии. «Универсал», Тбилиси, 2018, 260 стр.
3. Сванидзе Г.Г., Гагуа В.П., Сухишвили Э.В. Возобновляемые энергоресурсы Грузии. Гидрометеоиздат, Л., 1987, 174 стр.
4. Kandelaki N., Kupreishvili Sh. Efficiency of water reservoir construction in mountainous areas. 8<sup>th</sup> International scientific and technical conference “Modern problems of water management, environmental protection, architecture and construction”, 1-5 November, Tbilisi, 2018, pp. 142-155.

**კაშხლების კრიტიკული მდგომარეობის შეფასება**

**ი. იორდანიშვილი, ი. ირემაშვილი, გ. ნატროშვილი,  
კ. იორდანიშვილი, მ. გლუნჩაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60<sup>ა</sup>, 0179, ქ. თბილისი, საქართველო  
**E-mail: irinaiord48@mail.ru**

**შესავალი**

მსოფლიოს კაშხლები, რომლებიც აგებულია გასული საუკუნის შუა წლებში, უკვე მორალური და ფიზიკური „დაბერების“ სტადიაშია. კაშხლების „დაბერების“ ტერმინი იყო შემოთავაზებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რისკების მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას მიერ [Ц.Е. Мирцхулава, 1989].

**ძირითადი ნაწილი**

პირველად წყალსაცავები შეიქმნა ძველ ეგვიპტეში 3 ათას წელზე მეტი ხნის წინ ჩვ.წ.აღ.-მდე. ჯერ კიდევ ფარაონ მენესის დროს დედაქალაქ მემფისიდან ნილოსის გადასაგდებად აიგო კომისის კაშხალი, სიგრძით 415 და სიმაღლით 17,5 მ (ცხრ. 1). 2800-2500 წლით ადრე ჩვ.წ.აღ.-მდე ქაიროს სამხრეთით, ვადი-გრავიზე ააგეს კაშხალი სად-ელ-კაფარი, სიმაღლით 13 მ და სიგრძით 121 მ. 2300 წლის წინ ჩვ.წ.აღ.-მდე ქაიროდან 80 კმ-ის დაშორებით შეიქმნა 1 კმ<sup>3</sup>-ზე მეტი ტევადობის მერისის წყალსაცავი, რომელსაც ჰეროდოტემ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება უწოდა. მოგვიანებით შეიქმნა წყალსაცავები ახლო აღმოსავლეთში [ი.იორდანიშვილი, კ.იორდანიშვილი, 2010; Иорданишвили И, Иорданишвили К., 2012], შემდეგ იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში. ჩვ.წ.აღ.-ის პირველ საუკუნეებში წყალსაცავების მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა: პირველ საუკუნეებში ნაბათის სამეფოში (ისრაელის ტერიტორია) 14 მ სიმაღლის ორი კაშხლის მშენებლობით შეიქმნა წყალსაცავი მდ. სიგზე. კაშხლები დღემდე შემორჩენილია. ჩვ.წ.აღ.-ის IV საუკუნემდე ირანში აშენდა 9 ირიგაციული წყალსაცავი მდ. ჯარაბზე, მდ. კორზე (კამჟერდი), ბენდემიჟანი და გერგერი მდ. კარუნზე, რომლებიც დღესაც არსებობს.

**ცხრილი 1**

**მსოფლიოს უძველესი წყალსაცავების მახასიათებლები**

№	წყალსაცავის დასახელება	მდინარე	ადგილმდებარეობა	ქვეყანა	აგების დრო (საორიენტაციო)	წყალსაცავის პარამეტრები	ექსპლუატაციის პერიოდი	მწყობრიდან გამოსვლის მიზეზები
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	კსოსხაიში (კოშიში)	ნილოსი	მემფისის ზემოთ 20 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.აღ.-მდე 3000 წ.	მიწის კაშხალი L = 415 მ; H = 17,5 მ.	3000 წ.	მონაცემები არ არის

ი. იორდანიშვილი, ი. ირემაშვილი, გ. ნატროშვილი, კ. იორდანიშვილი, მ. გლუნჩაძე

2	სად-ელ-კაფარი	ნილოსი	ქაიროს სამხრეთით 29 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.ალ.-მდე 2900 წ.	ყორე წყობის კაშხალი ხსნარის გარეშე $L = 121$ მ; $H = 13$ მ; $V_{სრ} = 568$ ათასი მ <sup>3</sup>	ერთი სეზონი	კაშხლის გარღვევა წყალმოვარდნისგან
3	ნიმრუდი	ტიგროსი	ქ. სამარასთან	ახლო აღმოსავლეთი	ჩვ.წ.ალ.-მდე 2500 წ.	ქვეყრილის კაშხალი $H = 13$ მ.	ჩვ.წ.ალ.-ით VII ს-მდე	მონაცემები არ არის
4	მერისი	ნილოსის აუზი	ქაიროს სამხრეთ-დასავლეთით 8 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.ალ.-მდე 1800 წ.	$V_{სრ} = 1$ კმ <sup>3</sup> $L$ ნაპირის = 177 კმ	ჩვ.წ.ალ.-ით 102 წლამდე	მონაცემები არ არის
5	ხომსი (კატინახისი)	ნარ-ელ-ასი (ორონტი)	ს. ხომსი	სირია	ჩვ.წ.ალ.-მდე 1315 წ.	ქვეყრილის კაშხალი $L = 2,29$ კმ; $H = 7$ მ.	დღემდე	-
6	კასირი	ხოსრი	ქ. ნინევიას ზემოთ	ასურეთი	ჩვ.წ.ალ.-მდე 703 წ.	მონაცემები არ არის	-	-
7	მარიბი (სულ-ელ-არიბი)	ვადი-ჯანა	ქ. მარიბიდან 64 კმ-ზე	იემენი (საბა)	ჩვ.წ.ალ.-მდე 800 წ.	მიწის კაშხალი $L = 670$ მ; $H = 11,5$ მ.	ჩვ.წ.ალ.-ით 575 წლამდე	რღვეული კაშხლის ტანში. საბოლოოდ დაინგრა ჩვ.წ.-ის 670 წელს
8	ჯებელ-ბაშიკახი	ხოსრი	ქ. ნინევიასთან	ასურეთი	ჩვ.წ.ალ.-მდე 699 წ.	ორი კაშხალი ქვის კვადრატული ფილებისგან	მონაცემები არ არის	-
9	არტუშ-გომელი	არტუშ-გომელი	ბავიანის ხეობა	ასურეთი	ჩვ.წ.ალ.-მდე 690 წ.	გამყვანი არხი 56 კმ. მოპირკეთებული კირქვის ფილებით.	მონაცემები არ არის	-
10	მურღაბი	მურღაბი	-	აპარსეთი	ჩვ.წ.ალ.-მდე 600 წ.	სამი კაშხალი	ჩვ.წ.ალ.-ით 1258 წლამდე	დანგრეულია
11	კარნალ-ბო	ალბარე-გასი	-	ბერია (ესპანეთი)	ჩვ.წ.ალ.-მდე II ს.	წყალსაცავი $V_{სრ} = 10$ მლნ. მ <sup>3</sup>	დღემდე	-
12	სავეხი	ფავრესანი	-	აპარსეთი	880 წ. ჩვ.წ.ალ.-ით	ქვეყრილის კაშხალი $L = 120$ მ; $H = 40$ მ.	100 წელი	დანგრეულია წყალმოვარდნისგან
13	ბანდე-ემირი	-	ქ. შირაზის რაიონში	აპარსეთი	II ს. ჩვ.წ.ალ.-ით	-	დღემდე	-
14	ჟურჟურია	-	-	ლათინური ამერიკა	VII-VIII ს. ჩვ.წ.ალ.-ით	წყალსაცავი $V_{სრ} = 220$ მლნ. მ <sup>3</sup> $F = 96$ კმ <sup>2</sup>	დღემდე	-

წყალსაცავების შექმნის ინტენსიფიკაცია შეინიშნებოდა ჩვ.წ.ალ.-ით V საუკუნიდან. წყალსაცავების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შუა აღმოსავლეთში დაინგრა ომების პერიოდში და ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჩვ.წ.ალ.-ით I ათასწლეულში შეიქმნა წყალსაცავები: ბენდე-ემირის, ისპაჰანსა და შირაზს შორის, რომლებიც დღემდე ექსპლუატაციაშია, სავეხის, მდ. ფავრენაზე სიმაღლით 40 მ და სიგრძით 120 მ, ექსპლუატაციაში იყო 100 წლის განმავლობაში,

კარამის წყალსაცავი (ცენტრალური ირანი) დღემდე ექსპლუატაციაშია. დროთა განმავლობაში იზრდებოდა ჰიდროკვანძების მშენებლობის ინტენსიურობა.

იაპონიაში ჩვ.წ.ად.-ის 522-1600 წლებში შეიქმნა 30 წყალსაცავი 15 მ-ზე მეტი სიმაღლის კაშხლებით, ხოლო შემდგომი 200 წლის მანძილზე - 540 ჰიდროკვანძი წყალსაცავებით, რომლებიც დღესაც გამოიყენება. ჩინეთში პირველ ასწლეულებში მიმდინარეობდა მშენებლობა მდინარეების – ხუანხესა და იანძის შუამდინარეთის რაიონში. მდ. ხუანხეზე 100 კმ სიგრძის დამბით შეიქმნა ხუნიზეხუს წყალსაცავი და რიგი მცირე წყალსაცავები. ევროპაში წყალსაცავების მშენებლობის განვითარება მოგვიანებით, XIV-XVI საუკუნეებში დაიწყო. მაგალითად, წყალსაცავები ესპანეთში - ალმანასი და რელსი; ჩეხეთში და სლოვაკიაში - დვორჟიშტე, იორდანი, ხარუზიცკი, სტანკოვსკი, როჟიბერკი და სხვ. (რომელთა სარკის საერთო ფართობია 1800 კვ. კმ), ექსპლუატაციაშია დღემდე. პოლონეთში დღემდე ექსპლუატაციაშია 10 წყალსაცავი, რომლებიც XIV-XVI საუკუნეებში აშენდა.

გერმანიაში პირველი წყალსაცავების მშენებლობა XV საუკუნეს მიეკუთვნება. წყალსაცავების დიდი რაოდენობა იქნა აშენებული მექსიკაში აცტეკების, ინკების და მაიას ტომების მიერ. მაგალითად, ნეცაუალ-კოიოტლის დამბამ, სიგრძით 16 კმ, შუაზე გაყო ტესკოკოს ტბა და წარმოქმნა მეხიკოს წყალსაცავი. ეს ნაგებობები არ შემორჩა, რადგან ბევრი მათგანი განადგურდა ესპანელი კონკისტადორების მიერ XV საუკუნეში. წყალსაცავების მშენებლობის ინტენსიფიკაციის ახალი პიკი განეკუთვნება VII საუკუნეს. ლათინურ ამერიკაში აშენდა წყალსაცავი ჟურურია (მოცულობა - 220 მლნ მ<sup>3</sup>, წყლის სარკის ფართობი - 96 კმ<sup>2</sup>), რომელიც დღემდე ექსპლუატაციაშია, და ჩალვირი 3 მლნ მ<sup>3</sup> მოცულობით. XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება წყალსაცავების შექმნის დინამიური ტემპებით მთელ მსოფლიოში. მათი რიცხვი 1950 წლიდან გაორმაგდა, ხოლო ჯამური მოცულობა - 8-ჯერ გაიზარდა.

თანამედროვე ეტაპზე წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დარეგულირებული ჩამონადენის მოცულობის ზრდა შეინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. 2020 წლისათვის დედამიწაზე 40 ათასამდე წყალსაცავი იქნება, რომლებიც არსებითად განსხვავდება პარამეტრებით, რეჟიმული მახასიათებლებით, სამეურნეო გამოყენების მიმართულებითა და გარემოზე ზემოქმედებით. ამჟამად დედამიწაზე არსებობს და შენდება 35 ათასზე მეტი წყალსაცავი - 1 მლნ მ<sup>3</sup>-ზე მეტი ტევადობით. 100 მლნ მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის წყალსაცავებზე მოდის ყველა წყალსაცავის ჯამური მოცულობის 95%, თუმცა მათი რიცხვი საერთო რაოდენობის მხოლოდ 14% - ია. საქართველოში „საკომანდო სიმაღლის“ შექმნა სარწყავი ქსელისათვის შეიქმნა ჩვ.წ.ად. III ათასწლეულში.

კაშხლების დაზიანებები, ავარიები და კატასტროფები ყოველთვის ხდებოდა და ახლაც მიმდინარეობს. დაზიანება - კაშხლის გარღვევაა, რომლის აღდგენა შესაძლებელია. ავარია - კაშხალზე სახიფათო მოვლენაა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მსხვერპლი. კატასტროფა - კაშხლის ნგრევაა, რომელიც ასევე იწვევს ადამიანის მსხვერპლს. მსოფლიოს 400-ზე მეტი კაშხლის ავარიების და კატასტროფების გამომწვევი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ყველაზე სენსიტიური კაშხლების ტიპია - მიწის კაშხლები (ცხრ. 2).

მსოფლიოში კაშხლებზე ყველაზე მსხვილი დაზიანებები, ავარიები და კატასტროფები

კაშხლების რაოდენობა	კაშხლის ტიპი	კაშხლების ავარიებისა და კატასტროფების გამომწვევი ფაქტორები								კატასტროფების რაოდენობა	მსხვერპლთა რაოდენობა	კაშხლის აგარია	კაშხლის დაზიანება
		მიწიფრა	წყალმოვარდნები, წყალდიდობები	ჩარეცხვა, ჩამოზავება, ჯდენა	გადმოდენა თხევზე	შეცდომები დაპროექტებისა და ექსპლუატაციისას	კაშხლის დნობა	ტალღური ზემოქმედება	სუფოზია, წყლის აგრესიულობა				
260	მიწის	12	42	48	42	8	3	87	36	40	273000	94	122
80	ქვაყრილის	4	8	12	25	12	5		14	18	2300	31	27
48	ბეტონის	3	1	14	1	11	3		13	11	3000	11	26
<b>სულ 388</b>		<b>19</b>	<b>51</b>	<b>74</b>	<b>68</b>	<b>31</b>	<b>11</b>	<b>87</b>	<b>63</b>	<b>69</b>	<b>278300</b>	<b>136</b>	<b>170</b>

კაშხლების კატასტროფების ყველაზე მასშტაბური მიმოხილვა და შესაბამისად ადამიანების მსხვერპლთა რაოდენობა მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა მსოფლიოში კაშხლების კატასტროფების შედეგად

№	კაშხალი	ქვეყანა	კატასტროფის წელი	კაშხლის ტიპი	მსხვერპლთა რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ბუზეი	საფრანგეთი	1881	ქ	90
2	ზერბინი	იტალია	1935	ქ	100
3	აუსტინი	აშშ	1911	მ	100
4	აპალაჩი	აშშ	1902	მ	120
5	რიბადელიგო	ესპანეთი	1959	ქ	140
6	ვილიამსბურგი	აშშ	1874	მ	143
7	მილრივერი	აშშ	1874	მ	144
8	უსლნატ-გროდვი	აშშ	1880	ქ	150




კაშხლების კრიტიკული მდგომარეობის შეფასება

9	უელნოდ-გრუნი	აშშ	1890	მქ	150
10	ელ-კობრე	ჩილე	1965	მ	200
11	დეილ-დაკი	ინგლისი	1854	მ	250
12	შეფილდი	ინგლისი	1864	მ	238
13	ხიოკირი	ჩრდ. კორეა	1965	მ	250
14	ფრანცისკვიტი	აშშ		მ	400
15	სენტ-ფრენსისი	აშშ	1928	მ	450
16	ბერგამო	იტალია	1923	ქ	600
17	გლენო	იტალია	1923	მ	600
18	პუნტისი	ესპანეთი	1802	მ	650
19	ოროსი	ბრაზილია	1860	ქ	1000
20	მაჩხუ II	ინდოეთი	1979	ქ	2000
21	ჯონსტონი	აშშ	1893	მ	2200
22	სოუტფორსი	აშშ	1962	მ	2500
23	ვაიონტი	იტალია	1963	ბ	2600
24	გუჯაროცი	ინდოეთი	1979	მ	15000
25	რუკზუა	ჩინეთი	1975	მ	200000

აღნიშვნები: ქ - ქვაცირის; მ - მიწის; მქ - მიწა-ქვაცირის; ბ- ბეტონის

**1. მსოფლიოში არსებული მიწის კაშხლების კატასტროფების ანალიზი.**

წყალდიდობების წყლით ავსების შემდეგ მიწის კაშხლებში შეიძლება განვითარდეს ისეთი დეფორმაციები, რომლებიც გამოიწვევენ მის ზღვრულ მდგრადობას კაშხლის გრუნტის ერთიანობის გარღვევით (ნახ. 1) და ნაგებობის ავარიით. ამიტომ, მიწის კაშხლების დაპროექტებისას აუცილებელია ისეთი ამოცანის დაყენება, რომელიც გადაჭრის კაშხლის გრუნტის ხარისხის შენარჩუნებას. ასეთი ამოცანის გადაწყვეტილებაა - კაშხლის ზღვრული წონასწორობის ზონების უსაფრთხო შენარჩუნება, ამიტომ კაშხლების გრუნტების არჩევისას აუცილებელია წყალგაუმტარი გრუნტების შერჩევა.



ნახ. 1. მიწის კაშხლების ბირთვის რღვევების სახეობანი

ამ პროცესებს, როგორც წესი, მოჰყვება კაშხლის ტანის გრუნტის სუფოზია და ფილტრაციული მოვლენები. ნაპრალები – მიწის კაშხლის კონსტრუქციის რღვევის ყველაზე სახიფათო ფორმაა, რომელიც იწვევს კაშხლის ავარიას. სუფოზიის მოვლენას მოჰყვება გრუნტის წყალგამტარობის გაზრდა; კაშხლის ტანში, მის ფერდობებსა და ქიმზე წარმოიქმნება ჩავარდნები. ეს ბრაზილიაში მომხდარი მიწის კაშხლის კატასტროფის თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც დაინგრა სულ რაღაც 20 წუთში (ფოტო 1-4).



ფოტო 1. კატასტროფის დაწყებამდე



ფოტო 2. კატასტროფის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ




ფოტო 3. კატასტროფის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ



ფოტო 4. კატასტროფის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ

### მსოფლიოში არსებული ქვანაყარი კაშხლების კატასტროფების ანალიზი

ქვანაყარი კაშხლების დაზიანების ძირითადი მიზეზია - კაშხლის დარღვევა და საძირკველის გეოლოგიური პირობების არასწორი გათვალისწინება (ნახ 2, ცხრ.2). ჩვენ მიერ ჩატარებულმა ქვანაყარი კაშხლების ავარიის მიზეზების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასეთი კაშხლების ავარიის 80%-ის მიზეზია - ნაკადის გადადინება თხემზე და კაშხლის ტანში ფილტრაცია (ნახ. 2). მაგალითად, ბრაზილიაში ოროსის კაშხლის მშენებლობის დროს 35 სმ-იანი სისქის წყლის ნაკადის თხემზე გადადინება საკმარისი იყო კაშხლის კატასტროფისთვის.




ნახ. 2. ხელ-ხოლის კაშხლის ავარია თხემზე წყლის გადადინების გამო:

- ა) განივი პროფილი: 1 - ნაყარი; 2 - გრუნტის ეკრანი;  
 3 - წყალდიდობის შემდეგ დარჩენილი კაშხლის ნაწილი; 4 - ცემენტის ფარდა;  
 ბ) განივი კვეთი: კაშხლის დარჩენილი ნაწილი წყალდიდობის შემდეგ

**მსოფლიოში არსებული ბეტონის კაშხლების კატასტროფების ანალიზი**


ბეტონის კაშხლის სენტ-ფრენსისის (აშშ) დანგრევის გამო (1928 წ.) დაილუპა 450 ადამიანი. კაშხალი დაინგრა მის ძირში განლაგებული გარეცხილი კონგლომერატისა და წყალსაცავში ჩამოწოლილი კრისტალიზებული ფიქლების გამო (ნახ. 3).



ნახ. 3. ბეტონის კაშხლის სენტ-ფრენსისის კატასტროფა, 1928 წ.

მალ-ჰასეს ბეტონის კაშხალი (საფრანგეთი) დაინგრა 1959 წელს. 40,0 მ-ის სიმაღლის წყლის კედელმა წალეკა 80 კმ სიგრძის ტერიტორია. წყალსაცავი მთლიანად დაიცალა 1 საათში. დანგრევის მიზეზი - დიდი რაოდენობის მიკრონაპრალები კაშხლის ძირში. დაილუპა 42 ადამიანი (ნახ. 4).






ნახ. 4. მალ-პასეს ბეტონის კაშხლის განივი ჭრილი

### საქართველოში არსებული კაშხლების კატასტროფების ანალიზი

საქართველოს რიგ კაშხლებზე აღინიშნება სხვადასხვა ტიპის დაზიანებები, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია წყლის გადადინება კაშხლის თხემზე. მაღალი კაშხლების თხემზე წყლის გადადინების პროგნოზირების მეთოდის დამუშავებულია პროფ. გ. გავარდაშვილის მიერ [Г. Гаварდაшвили, 2010]. კატასტროფის თვალსაჩინო მაგალითია დაბა წყნეთში მომხდარი კატასტროფა (14 მაისი, 1980 წ.), როდესაც 12,0 მ სიმაღლის მიწის კაშხალი დაინგრა, რასაც მოჰყვა შვიდი ადამიანის მსხვერპლი (ნახ. 5).



ნახ. 5. მიწის კაშხლის გარღვევა დაბა წყნეთში (1980 წ.)

კატასტროფის მიზეზი იყო კაშხლის მშენებლობისას დაშვებული დეფექტები, კაშხლის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესუსტება ექსპლუატაციის 30 წლის განმავლობაში, წყალსაცავის შევსების, დაცლისა და მაღალი ინტენსივობის თავსხმა წვიმების გამო გამოწვეული კაშხლის ქვედა ბიფის გამორეცხვა. ამ ფაქტორმა გამოიწვია ფილტრაციის სიგრძის შემცირება, რამაც სულ ერთი საათის განმავლობაში წყლის დონის უეცარი აწევის (40-50 სმ-ით) გამო გაიზარდა ფილტრაციის ხარჯი. ჰიდროდინამიკური ზემოქმედების გამო დაიწყო კაშხლის ქვედა ფერდის ჯდენა, წარმოიშვა ნაპრალი. შემოკრებილი ფილტრაციის წყლის ჭავლმა

გამოიწვია ქვედა ფერდის მდგრადობის შემცირება. ქიშხე წარმოშობილი ნაპრალი გავრცელდა კაშხლის ტანში, მთელ სიგრძეზე, საიდანაც წყალმა უფრო გააგანიერა და გააღრმავა ნაპრალი, რის შედეგადაც ჩამოცურდა კაშხლის ქვედა ბიეფის ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ნაწილი. წყალგაჯერების კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენდა 0,9-1,0-ს, რის გამოც კაშხლის დაძვრის მახასიათებელი შემცირდა.

დალის მთის მიწის კაშხლის თხემზე წყლის გადადინების გამო კაშხალი მწყობრიდან გამოვიდა და წყალსაცავი დღემდე დაცლილია.

2010 წლის აპრილში, ინტენსიური წვიმების შედეგად, ჭერემის წყალსაცავში აღინიშნებოდა წყლის დონის მკვეთრი მატება, რასაც თან სდევდა ნაპირების წარცხვა, წყალსაგდების სათავესთან ბეტონის ფილების გამორეცხვა და ხიდის დანგრევა (ფოტო 8). წყლის შესაძლებელი გამოხეთქვის გამო სახიფათო სიტუაცია შეიქმნა ქ. გურჯაანში. ოპერატიულად ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები. კატასტროფული წყალსაგდების ჩარეცხვადი კალაპოტი გამაგრდა ქვიშიანი ტომრებით, მიმართული აფეთქებით გაიწმინდა დალამული წყალსაში (საირიგაციო მილი). ჩატარებული ღონისძიებების შედეგად წყალსაცავში წყლის დონე დაყვანილ იქნა მინიმუმამდე. ამჟამად, წყალსაცავი არ ფუნქციონირებს.



ფოტო 8. ავარია ჭერემის წყალსაცავის წყალსაგდებზე

2015 წლის 13 ივნისის ღამეს თბილისში დატრიალდა ტრაგედია, რომლის მიზეზი დიდი ნალექის ზემოქმედებით წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთზე მთის მასის დიდი სიმაღლიდან ჩამოშვება გახდა. მისი ჩამოშლილი ღვარცოფული მასა მდინარე ვერეს შეუერთდა, რამაც მისი კალაპოტის გადაკეტვა და დატბორვა გამოიწვია. დაგუბებულმა წყალმა შექმნილი დამბა გაარღვია და მდ. ვერეს ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის მოვარდნა გამოიწვია. მეწყერმა, რომლის სიგრძე 4 კმ და სიგანე 600 მ იყო, ორი გზა გამოიარა: წყნეთი-სამადლოს საავტომობილო გზაზე ჩაწყდა 400-მეტრიანი მონაკვეთი, სოფელ ახალდაბასთან მისასვლელი გზა პარალიზებული იყო. მდინარე ვერემ ღვარცოფული მასა უნივერსიტეტის დასახლებიდან გმირთა მოედნამდე ჩაიტანა. ახალგაკეთებულ გვირაბებში ნაშალი მასალის ნაკადმა ვერ გაიარა, გვირაბში გაიჭედა და წყლის ტალღამ მდ. ვერეს ხეობა მთლიანად დატბორა. მოვარდნილმა წყალმა სვანიძის ქუჩაზე გაიარა და გმირთა მოედნამდე ჩავიდა (იხ. ფოტო 9). დროის მოკლე მონაკვეთში ამ ტერიტორიაზე წყლის ხარჯი 1000 მ<sup>3</sup>/წმ-ს აღწევდა (აქედან მდ. მტკვრის ხარჯი 400 მ<sup>3</sup>/წმ). მოვარდნილი ტალღის სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევდა. კატასტროფას ემსხვერპლა 19 ადამიანის სიცოცხლე, 4 ადამიანი დაკარგულია, სახლ-კარის გარეშე დარჩა 400-მდე ადამიანი და ზარალმა 100 მლნ ლარს მიაღწია.



ფოტო 9. კატასტროფა მდ. ვერეს ხეობაში (2015 წ.)

საბედნიეროდ, საქართველოში ქვანაყარი და ბეტონის კაშხლების მსგავსი ტიპის კატასტროფები არ ყოფილა.

### კაშხლების უსაფრთხოების შეფასება

მიწის, ქვანაყარი და ბეტონის კაშხლების ავარიების, დაზიანების და კატასტროფების (შემდგომში-ინციდენტების) უსაფრთხოება წარმოადგენს მეტად რთულ ამოცანას. ამ კვლევების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ც. მირცხულავა [Мирцхулава Ц.Е., 1989]. შევასოთ კაშხლების უსაფრთხოება მათი ტიპის მიხედვით (მიწის, ქვანაყარი, ბეტონის) ინციდენტების ბანკის საფუძველზე. ინციდენტების უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება ტარდება სტატისტიკური ან ალბათური მეთოდების გამოყენებით. ამ სტატისტიკური შეფასებით ტარდება კაშხლების ექსპლუატაციის (მუშაობის წლების) სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, რომლის მეშვეობით დგინდება ის საშუალო ვადა, რომლის პერიოდში ხდება ერთი ინციდენტი

$$t_{05} = \sum_i^m t_i / n_{05}, \quad (1)$$

სადაც  $t_{05}$  ექსპლუატაციის ხანგრძლივობაა (ფუნქციონირების წლების რაოდენობა) კაშხლის მოცემული ტიპისათვის,  $n_{05}$  - ინციდენტის საერთო რიცხვი განსახილველი პერიოდისათვის,  $m$  - მოცემული ტიპის კაშხლების რაოდენობა.

ანალოგიურად შეიძლება იქნეს განხილული წლების საშუალო რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე. მოცემული მიდგომით შეიძლება დადგინდეს კაშხლების უსაფრთხოების კერძო ალბათური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს იმ კერძო მიზეზთა გამოვლინებას, რომელთაც მივყავართ ინციდენტამდე. კაშხლების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციამ შეიძლება შეგვიქმნას წარმოდგენა, რომ კაშხლების ფუნქციონირების რიცხვი ყოველ 100 წელიწადში:

$$n_{100} = 100n_c / n_{კერ}, \quad (2)$$

სადაც  $n_c$  და  $n_{კერ}$  შესაბამისად ინციდენტების და წლების რიცხვია გასაანალიზებელი პერიოდისათვის. სტატისტიკური მაჩვენებლები გვაძლევენ საშუალებას შევაფასოთ ობიექტების ფუნქციონირების უსაფრთხოების დონე; გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი და მიზეზი, რომლებიც განაპირობებენ ინციდენტურ სიტუაციებს; შევიქმნათ წარმოდგენა კონსტრუქციებისა და კაშხლების სრულყოფილების ხარისხზე; შევადაროთ სხვადასხვა ტიპის კაშხლების უსაფრთხოების დონეები. სხვადასხვა ტიპის კაშხლების - მიწის, ქვანაყარი, ბეტონის ინციდენტების ხელშემწყობი ფაქტორების სტატისტიკური ინფორმაციის (ცხრ. 2) საფუძველზე გამოვიანგარიშოთ მათი ექსპლუატაციის (მუშაობის წლების) ის საშუალო ვადა ( $t_{დაზ.}, t_{ავ.}, t_{კატ.}$ ), რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (დაზიანება, ავარია, კატასტროფა):

**ანგარიში:** დაზიანების, ავარიისა და კატასტროფის საშუალო ვადა, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (მაგ., 100 წლის მანძილზე), იქნება:

ა) მიწის კაშხლებისთვის

$$t_{დაზ.} = \sum \frac{327}{78} = 4.19; \quad t_{ავ.} = \sum \frac{543}{44} = 12.18; \quad t_{კატ.} = \sum \frac{187}{25} = 7.48$$

ბ) ქვანაყარი კაშხლებისთვის

$$t_{დაზ.} = \sum \frac{359}{18} = 19.9; \quad t_{ავ.} = \sum \frac{228}{21} = 10.86; \quad t_{კატ.} = \sum \frac{110}{9} = 12.2$$

გ) ბეტონის კაშხლებისათვის (თაღოვანი გრავიტაციული (თგ), თაღოვანი (თ), ბოტობეტონის (ბბ), კონტროფოსის (კვ) და ძეღყორანის (ძყ) ტიპის კაშხლები განიხილება ბეტონის (ბ) კაშხლებთან ერთად)

$$t_{დაზ.} = \frac{195}{16} = 12.19; \quad t_{ავ.} = \frac{52}{8} = 6.5; \quad t_{კატ.} = \frac{84}{6} = 14.0$$

კაშხლების ექსპლუატაციის საშუალო პერიოდი, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (100 წლის მანძილზე), მოყვანილია ქვემოთ:

მიწის კაშხლებისთვის		ქვანაყარი კაშხლებისთვის		ბეტონის კაშხლებისათვის	
$t_{დაზ.}$	4,19	$t_{დაზ.}$	19,9	$t_{დაზ.}$	12,19
$t_{ავ.}$	12,18	$t_{ავ.}$	10,86	$t_{ავ.}$	6,5
$t_{კატ.}$	7,48	$t_{კატ.}$	12,2	$t_{კატ.}$	14



ამრიგად, ექსპლუატაციის პერიოდი, რომელიც მოდის ერთ კატასტროფაზე, ყველაზე ხანგრძლივია ბეტონის კაშხლებისათვის (14 წელი), ანუ ბეტონის კაშხლები ყველაზე საიმედოა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიშში არ იყო გათვალისწინებული იმ კაშხლების ინციდენტები, რომელთა აშენებისა და ინციდენტის წლები არ არის აღნიშნული შესაბამის მონაცემთა ბანკში.

### დასკვნა

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობის კატასტროფები მიწის კაშხლებზე მოდის.

დასმული საკითხი მეტად რთულია და როგორც კაშხლის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის პრობლემების კვლევების ფუძემდებელი აკადემიკოსი ც. მირცხულავა აღნიშნავდა - „დიდ ფასეულობას შეიძლება წარმოადგენდეს მიახლოებითი შეფასებებიც კი, რომლებიც საორიენტაციოდ განსაზღვრავს ტექნოგენული სისტემების ხანგრძლივობას.“

### ლიტერატურა

1. Гавардашвили Г.В. – Компьютерная имитация в случае разрушения Ингурской плотины. Сборник научн. трудов Института водного хозяйства, Грузия, N 65, Тбилиси, 2010 г, стр. 42÷52.
2. Иорданишвили И.К., Иорданишвили К.Т., Вопросы эко-эволюции горных водохранилищ Грузии, Универсал, Тбилиси, 2012 г., 186 стр. (монография на русском языке);
3. იორდანიშვილი ი., იორდანიშვილი კ. საქართველოს მთის წყალსაცავები და გარემოზე მათი ზემოქმედება, უნივერსალი, თბილისი, 2010, 350 გვ.
4. Мирцхулава Ц.Е. Безопасность плотин: состояние проблемы, пути решения. Мелиорация и водное хозяйство, N 10, 1989 г., стр. 11-18.



## ПРЕССИОМЕТРИЧЕСКИЙ МЕТОД КОНТРОЛЯ ПЛОТНОСТИ ТЕЛА ЗЕМЛЯНЫХ ПЛОТИН

Итриашвили Л.А., Хосрошвили Е.З.

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава  
Грузинского технического университета  
пр. И.Чавчавадзе 60<sup>б</sup>, 0179, г. Тбилиси, Грузия  
*E-mail: itriashvili@mail.ru*

### Введение

При строительстве грунтовых плотин контроль качества уплотнения производится путем отбора проб каждого отсыпанного слоя и установления соответствия их характеристик с проектными.

Что же касается действующих плотин, то отбор образцов для испытаний осуществляется путем бурения скважин и послонной выемки кернов. Однако, при этом пробы грунта, как правило, имеют увеличенную плотность, т.к. при бурении уплотняются не только стенки скважины, но и сам образец грунта. Найти же корреляционную зависимость между объемной массой керна и проектной плотностью практически невозможно.

Поэтому, привлечение других методов определения плотности грунта в теле действующих плотин, лишенных вышеуказанных недостатков, намного упростило бы осуществление контроля за состоянием этих сооружений.

В этом направлении перспективным является использование ультразвукового прессиометрического метода, который позволяет измерять характеристики грунтов в любой точке по всей глубине тела плотины.

Кроме того, уплотнение стенок буровой скважины не влияет на результат испытаний, т.к. дальность распространения ультразвуковой волны намного превышает толщину уплотненного слоя скважины.

### Основная часть

Принцип ультразвукового метода контроля во время строительства плотины базируется на установлении корреляционных связей между плотностью, влажностью и другими физико-механическими показателями грунтов и их акустическими характеристиками. Такие связи и численные значения входящих в них коэффициентов, устанавливаются на основании аналитической или графической обработки экспериментальных данных параллельных испытаний, выполняемых в стационарных геотехнических лабораториях [1].

Погрешность измерения времени распространения ультразвука  $t$  не должна превышать значения:

$$\Delta = \pm (0.01t + 0,1) \text{ мкс} \quad (1)$$

По измеренным значениям  $t$  и  $\ell$ , вычисляют скорость продольной волны  $V_p$  по формуле:

$$V_p = \frac{10^3 \ell}{t} \text{ м/с}, \quad (2)$$

где  $t$  - время распространения продольной ультразвуковой волны, мкс;  $\ell$  - высота образца (база прозвучивания), мм.

Корреляционное уравнение связи объемного веса влажного или скелета грунта и скорости продольной ультразвуковой волны в общем случае имеет вид:

$$\gamma_y = \bar{k}_\gamma \lg V_p \quad (3)$$

10	11.2018	II ნიბ.	7,57	561,2	667,4	989,9	560	480	4,83	48	2751,3
11	02.2018	III ნიბ.	7,65	610	589,6	990,6	480	360	33,81	47,2	3111,2
12	04.2018	III ნიბ.	7,13	463,6	360	398	300	98	58,42	25,2	1678
13	07.2018	III ნიბ.	6,75	292,8	355	760	320	288	53,13	28	2068,9
14	09.2018	III ნიბ.	7,57	561,2	667,4	989,9	560	480	4,83	48	2751,3
15	11.2018	III ნიბ.	7,65	610	589,6	990,6	480	360	33,81	47,2	3111,2
16	02.2018	IV ნიბ.	7,13	463,6	360	398	300	98	58,42	25,2	1678
17	04.2018	IV ნიბ.	6,75	292,8	355	760	320	288	53,13	28	2068,9
18	07.2018	IV ნიბ.	7,57	561,2	667,4	989,9	560	480	4,83	48	2751,3
19	09.2018	IV ნიბ.	7,65	610	589,6	990,6	480	360	33,81	47,2	3111,2
20	11.2018	IV ნიბ.	7,13	463,6	360	398	300	98	58,42	25,2	1678

## დასკვნა

1 და 2 ცხრილების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიადაგისა და წყლის მინერალიზაციაზე (კოლექტორებში) დიდ გავლენას ახდენს სულფატ-იონი ( $\text{SO}_4$ )<sup>2-</sup> და კალციუმ-იონი ( $\text{Ca}$ )<sup>2+</sup>. არსებული კოლექტორების წყლისა და მლაშე ნიადაგების ნიმუშები არის საკმაოდ მაღალმინერალიზებული; წამყვანი ანიონი აღმოჩნდა სულფატი და წამყვანი კათიონი - კალციუმი; წყლის მჟავიანობა (pH) ნორმაშია. წყლები მიეკუთვნება სულფატური ტიპის კალციუმის ჯგუფის ტიპს; სიხისტის მიხედვით მიეკუთვნება ხისტი წყლის კატეგორიას. ამიტომ, ალაზნის ველზე ყურადღება უნდა გამახვილდეს დამლაშებული ნიადაგების სენსიტიურ მარილებზე, როგორცაა სულფატ-იონი ( $\text{SO}_4$ )<sup>2-</sup> და კალციუმ-იონი ( $\text{Ca}$ )<sup>2+</sup>.

საიმედოობისა და რისკის თეორიის გამოყენებით ალაზნის ველის მლაშე ნიადაგებზე დადგენილია წყლის სულფატ-იონის ( $\text{SO}_4$ )<sup>2-</sup> და კალციუმ-იონის ( $\text{Ca}$ )<sup>2+</sup> მინერალიზაციის ცვლილების ფუნქციის განაწილების კანონი, რომელიც აღიწერება ლოგარითმული განაწილებით ე.წ. სიზუსტის ნორმის გათვალისწინებით.

თეორიული და ლაბორატორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ჩატარებული მეცნიერული კვლევების საიმედოობა (P) და რისკი (R), რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი წყლის მინერალიზაციის შემთხვევაში ტოლია P=78%, R=22%.

## ლიტერატურა

1. საბაშვილი მ. „ალაზნის მარჯვენა სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნიადაგები“. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის სექტორი. 1996, გვ. 236.
2. თ. სუპატაშვილი. ღვარცოფული ნატანის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაზრდის მიზნით. მე-16 საერთაშორისო კონფერენციის „გარემოს დაცვა, ბიოლოგიური, ეკოლოგიური მეცნიერებები და ტექნოლოგია“. შრომათა კრებული. 2014, გვ. 80-82.
3. Gavardashvili G., Kukhalashvili E., Supatashvili T., Iremashvili I., Quparashvili I., Bziava K., Natroshvili G. “The Research of Water Levels in the Zhinvali Water Reservoir and Results of Field Research on the Debris Flow Tributaries of the River Tetri Aragvi Flowing in It”. Rome, Italy. 2019, Part-V (1). pp. 702 – 705.
4. Харебава Л., Чантладзе З., Чикваидзе Г. “Минерализация и химический состав грунтовых и промышленно-поливных вод засоленных земель правобережья р. Алазани.” Тр. ЗакРНИИ, вып. 2, Гидрометеиздат. 1985, ст. 70-73.

კოლხეთის დაბლობზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭების წყლის ქიმიური მახასიათებლების დადგენა (20.05.2019)

ლ. წულუკიძე, ე. თოფურია, გ. ჩახაია, ნ. კვაშილავა, ი. ხუბულავა,  
თ. სუპატაშვილი, ი. კვიციანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 60 ბ, 0179, თბილისი, საქართველო  
*E-mail:* levanitsulu@mail.ru

შესავალი

ადამიანთა საზოგადოების ისტორია - ეს ბუნებითსარგებლობის ისტორიაა, რომელიც მიმართულია ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივი პირობების რაციონალური გამოყენების გზით. ჯერ კიდევ XX-ე საუკუნის დასაწყისში დედამიწის მოსახლეობა სვამდა სუფთა წყალს, სუნთქავდა სუფთა ჰაერს, მოიხმარდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კაცობრიობა აღმოჩნდა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. ბუნების სიკეთის ბოროტად გამოყენება, ბუნების სიმდიდრის არაგონივრული და არასწორი მოხმარება თანაბრად საზიანოა ბუნებისა და ადამიანისთვის.

უკანასკნელ პერიოდში ტექნიკურმა და ინფორმაციულმა პროგრესმა გამოიწვია გარემოს დაბინძურების მატება, პირველ რიგში - წყლის დაბინძურება, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

მოსახლეობის ზრდა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება იწვევს წყლის გამოყენების ზრდას. კაცობრიობის წინაშე დგას სუფთა წყლის შენარჩუნების მეტად რთული ამოცანა, რადგან ადამიანის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია სასმელად გამოყენებული წყლის ხარისხს. დაბინძურებულმა წყალმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დაავადებები. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის ხარისხის კონტროლი საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც არ არის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა და მოსახლეობა იყენებს ინდივიდუალურ ზედაპირული და არტეზიული ჭების წყალს, რომლის ხარისხის კონტროლი ძალიან მწიკვია უსახსრობის გამო. წყლის დაბინძურებას ხშირად ადამიანები და მათი ნამოქმედარი იწვევს. ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობა ზოგჯერ არსებითად ცვლის არსებულ ბუნებრივ გარემოს (ფოტო 1), რაც განსაკუთრებით ვლინდება წყალში ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებისას, რამაც შეიძლება ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება გამოიწვიოს. ქიმიკატებით წყლის მოწამლვა ძირითადად გამოწვეულია პესტიციდებისა და სასუქების უკონტროლო და არასწორი გამოყენებით. პესტიციდებს გააჩნიათ ბიოლოგიური აქტივობა, იწვევს არა მარტო მწერებისა და მიკრობების, არამედ ცხოველებისა და ადამიანების დაღუპვასაც.

## ძირითადი ნაწილი

მინერალური სასუქების წარმოებისა და მოხმარების ფართო განვითარებასთან დაკავშირებით იქმნება გარემოს დაბინძურების მთელი რიგი პრობლემები. სასუქების (აზოტოვანი -  $\text{KNO}_3$ ,  $\text{NH}_4\text{NO}_3$ , ფოსფოროვანი - მარტივი და ორმაგი სუპერფოსფატი  $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$ , ამოფოსი -  $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$ , კალიუმიანი -  $\text{KCl}$ ,  $\text{KNO}_3$ ) მაღალი დოზით სისტემატურად გამოყენებამ შეიძლება ძალიან დიდი ნეგატიური გავლენა მოახდინოს არა მარტო მცენარეებზე, არამედ მთელ ბიოსფეროზე [1-8].

ნიტრატული აზოტის დიდი მოძრაობის გამო ბიოსფეროსთვის აზოტოვანი სასუქები ყველაზე სახიფათოა. მთავარი პრობლემა ამ სასუქების ნიადაგიდან გამორეცხვაა. სწორედ ამ გზით ხდება ბმული აზოტი გრუნტის წყლებში და, მამსადადამე, ჰის წყალშიც. ნიტრატებისა და მათი მეტაბოლიტებით (ნიტრიტები და ნიტროზო ნაერთები) მაღალი შემცველობის წყლის მუდმივად მოხმარება იწვევს სისხლის და გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი ორგანოებისა და საშარდე სისტემების დაავადებებს, ასევე, ნიტრიტები კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ამინებთან და ამიდებთან შეერთებისას წარმოქმნიან კანცეროგენულ ნიტროზამინებს, რომლებიც ხანგრძლივი ზემოქმედებისას იწვევენ კუჭის კიბოს.

შედარებით ნაკლებად საშიშია ფოსფოროვანი სასუქები. ფოსფატ-იონი ნაკლებად ძვრადია, რომლებიც მტკიცედ მაგრდება ნიადაგში და ნაკლებად ტოქსიკურია ადამიანებისთვის, თუმცა ნიადაგიდან გამორეცხვისას გროვდება წყალში და მისი გადაჭარბებული რაოდენობის მოხვედრა ორგანიზმში რა თქმა უნდა არასასურველი და სახიფათოა.

სასმელად გამოყენებული ჭების წყლის ბიოლოგიური დაბინძურების კერებია ჰის სიახლოვეს მოწყობილი საქონლის სადგომები, არაიზოლირებული საპირფარეშოები და საკანალიზაციო სისტემები (ფოტო 2).

ზემოაღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას კოლხეთის დაბლობის სოფლის მოსახლეობისთვის, რომლებიც სასამელად ძირითადად იყენებენ ჭების წყალს. ჭები ძირითადად გაჭრილია 2-30 მეტრი სიღრმის ფენებში, რომელთა ხარისხის ჰიდრომონიტორინგი დღეისთვის უსახსრობის გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთის დაბლობზე, პირველ ეტაპზე, საჭიროა დაბინძურების წყაროების მონიტორინგი და მის არეალში არსებული ჭების წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური შემადგენლობის დადგენა, ხოლო მეორე ეტაპზე კი - ჰის წყლების ხარისხის ეფექტური მართვის მექანიზმების შემუშავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ განხორციელდა კოლხეთის დაბლობის 7 მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ სასამელად გამოყენებული ჭების წყლის ხარისხის შემოწმება და თითოეული მუნიციპალიტეტის სამ სოფელში მოხდა ქიმიური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა (ფოტო 1, 2).



ფოტო. 1. სასმელად გამოყენებული ჭის სიახლოვეს არსებული ქიმიზირებული მცენარეული კულტურები



ფოტო. 2. სასმელად გამოყენებული ჭა საქონლის სადგომთან ახლოს

ჭის წყლის ქიმიური ანალიზი კეთდებოდა ადგილზე, მობილური ქიმიური ლაბორატორიის (CEL Advanced Drinking Water Laboratory) საშუალებით (ფოტო 3).



ფოტო. 3. მობილური ქიმიური ლაბორატორია (CEL Advanced Drinking Water Laboratory)

კვლევის შედეგები მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

სოფლის მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭის წყლების ქიმიური ანალიზის შედეგები (მაისი 2019 წ.)

სინჯის ადგილის ადგილი	კოორდინატები		სიღრმე	pH	ნიტრატი NO <sub>3</sub> <sup>-</sup>	ნიტრიტი NO <sub>2</sub> <sup>-</sup>	ფოსფატი PO <sub>4</sub> <sup>3-</sup>	Fe
	X	Y						mg/l
აბაშა, სოფ. მარანი მგალობლიშვილის ქ. 7	4209455	4217744	5	7.77	1.6	0.017	6,5	0.071
აბაშა, სოფ. საბოკუჩაო	4213105	4210906	5	7.81	1.6	0.005	2.0	1.05
აბაშა, სოფ. საბოკუჩაო	4213273	4210835	5	7.56	0.9	0.008	3.49	0.06
სენაკი, სოფ. ნოსირი	4215916	4206589	11	8.01	1.2	0.013	4.0	0.08
სენაკი, სოფ. ეკი	4219821	4204490	7	7.88	5.0	0.003	3.67	1.42
სენაკი, სოფ. ზანა	4221850	4205198	14	7.64	0.7	0.004	3.32	1.3
ხობი, დადიანის	4218568	4255233	5	8.00	1.1	0.009	1.68	0.02

ლ. წულუკიძე, ე. თოფურია, გ. ჩახაია, ნ. კვაშილავა, ი. ხუბულავა,  
თ. სუპატაშვილი, ი. კვიციანი

ქუჩა №152								
ხობი, სოფ. შუა ქვალონი	4217243	4257025	4	7.99	1.0	0.007	3.65	0.08
ხობი, სოფ. პირველი მაისი, რუსთაველის ქ. 119.	4221059	4150859	8	7.55	0.9	0.003	3.00	0.04
ზუგდიდი, სოფ. ჭითაწყარო	4229212	4151345	9	7.42	7.42	0.003	2.34	0.028
ზუგდიდი, სოფ. ოდიში	4231991	4154267	8	7.44	5.3	0.003	2.37	0.08
ზუგდიდი, სოფ. კორცხელი	4233381	4156210	15	8.02	3.2	0.007	2.75	0.1
წალენჯიხა, სოფ. ფაბრიკა	42137204	4202826	7	7.85	0.5	0.015	2.25	0.07
წალენჯიხა, სოფ. ნაკიფუ	4235839	4205373	9	7.65	1.5	0.019	2.8	0
წალენჯიხა, სოფ. ნაკი	4236311	4205957	5	7.88	2.2	0.012	3.55	0.14
ჩხოროწყუ, სოფ. პატარა (ქვედა) ჩხოროწყუ	4228307	4206320	8	7.44	0.4	0.017	3.6	0.02
ჩხოროწყუ, სოფ. მუხური	4235979	4209939	6	7.54	1.6	0.011	1.75	0.01
ჩხოროწყუ, სოფ. ჭოლა	4233533	4210933	11	7.88	1.1	0.002	3.76	0.01
მარტვილი, სოფ. ტალერი	4232493	4218809	6	7.99	1.6	0.013	0.79	0.0
მარტვილი, სოფ. დიდი ჭყონი	4230709	4219506	5	7.85	0.7	0.006	4.51	0.03
მარტვილი, სოფ. ხუნწი	4223358	4223255	6	7.92	2.0	0.001	3.0	0.01
ზღვრული დასაშვ. კონცენტრაცია, მგ/ლ					50	0.2	3.5	0.3

2019 წლის მაისში კოლხეთის დაბლობის 7 რაიონის ტერიტორიაზე, 21 სოფელში, მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭის წყლების დაბინძურების ხარისხის შემოწმების მიზნით ჩატარებული ანალიზების შედეგების მიხედვით, ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული ჭების წყლებში ნიტრიტების შემცველობა მერყეობს 0,001მგ/ლ -დან 0, 019მგ/ლ-მდე, ნიტრატები 0,4მგ/ლ-დან 5,3მგ/ლ-მდე, ფოსფატების საერთო რაოდენობა 1,68მგ/ლ-დან 6,5მგ/ლ-მდე, ხოლო რკინის - 0,01მგ/ლ-დან 1.42-მდე.

შედეგები შედარებულია საქართველოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც ნიტრატის და ნიტრიტის შემცველობა 21 სინჯიდან არც ერთ სინჯში არ აღემატება ზღვ-ს. ნიტრატებთან შედარებით, მძიმე მდგომარეობაა ფოსფატების შემცველობასთან დაკავშირებით. 21 სინჯიდან 8 სინჯში მაღალი მაჩვენებელი მივიღეთ. ყველაზე გადაჭარბებული შემცველობა აბაშის რაიონის სოფ. მარანში აღმოჩნდა-6,5მგ/ლ, ასევე მარტვილის რაიონის სოფ. დიდ ჭყონში - 4,5მგ/ლ. რკინის შემცველობა აღემატება ზღვ-ს სამ



სინჯში, კერძოდ აბაშის რაიონის სოფ. საბოკუჩაო - 1, 05მგ/ლ და სენაკის რაიონი სოფ. ეკი-1,42მგ/ლ.

რადგან საანალიზოდ შერჩეული ყველა ჭის წყალი გამოყენებულია სასმელად, შედეგების დამუშავების დროს ასევე გამოვიყენეთ ჩამოსხმული სასმელი წყლის ხარისხისადმი წაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ნიტრიტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,005 მგ/ლ. ჩვენ მიერ შერჩეული 21 საანალიზო ჭიდან ნიტრიტის შემცველობა 13 სინჯში აღემატება 0,005 მგ/ლ-ს [7].

## დასკვნა

ზემოთაღნიშნული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი 21 სინჯში აღმოჩნდა ზდკ-ზე გადაჭარბებული მაჩვენებლები, ე.ი მთლიანად კოლხეთის დაბლობზე სასმელი წყლის დაბინძურების ხარისხი საკმაოდ მაღალია და ეს პრობლემა ატარებს როგორც ეკოლოგიურ, ასევე სოციალურ ხასიათს. ამისათვის აუცილებელია დაბინძურების ნეიტრალიზებისათვის საჭირო რეკომენდაციების მომზადება, შემდგომში ჭის წყლების დაბინძურების ასაცილებლად, რაც რეალური საფუძველი გახდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

## ლიტერატურა

1. ვ. ერისთავი, ა. დანელია, რ. ალასანია, ლ. ალასანია, ლ. არხიპოვა. გარემოს გაჭუჭყიანების წყაროები და მათი ლიკვიდაციის ტექნიკური ღონისძიებები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1985. გვ. 224.
2. <https://ekofact.com/2010/05/30/76/>
3. <http://www.ambioni.ge/rogor-dgundeba-vargisia-tu-ara-wyali-sasmelad>
4. <http://batumelebi.netgazeti.ge/news/5910/#sthash.mnow3OB8.dpuf>
5. The technical reglament of drinking water.
6. Nitrate and nitrite in drinking-water. Background document for development of WHO Guidelines for Drinking-water Quality.
7. The health requirements approval forbottled drinking water quality.
8. ზ. ბარდაჩიძე. მინერალური სასუქებისა და სოდაპროდუქტების ტექნოლოგია. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2013, გვ. 148.

ლაბორატორიულ პირობებში მუხრან-საგურამოს ველის ნიადაგების ზღვრული წყალტევადობისა და მოცულობითი წონის მაჩვენებლის განსაზღვრა

ო. ხარაიშვილი<sup>1)</sup>, მ. კიკაბიძე<sup>1),2)</sup>, ნ. მებონია<sup>1)</sup>, მ. ლომიშვილი<sup>1)</sup>, ქ. როყვა<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

0160, დ. გურამიშვილის გამზ. N 71, ქ. თბილისი, საქართველო

<sup>2)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

0179, ჭავჭავაძის გამზ.60<sup>ბ</sup>, თბილისი, საქართველო,

**E:mail:** Xaraihvili-nona@yandex.ru, makomako429@mail.ru,

n.mebonia@agrun.edu.ge, maia.kikabidze@bk.ru

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის აღორძინების გარეშე, რაც აღნიშნულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის კონცეფციაში.

საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ქვეყნის ბევრ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და სტაბილური მოსავლის მიღება მორწყვის გარეშე შეუძლებელია. ისტორიულად აპრობირებული რწყვის ხერხები (მაგ. კვლებში რწყვა), რომელიც უმრავლეს შემთხვევაში დღემდე მასიურად გამოიყენება, ხასიათდება ბევრი ნაკლოვანებით, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს აღნიშნული ხერხით რწყვის თავისებურების გამო მცენარისთვის საჭიროზე გაცილებით მეტი წყლის მიწოდების აუცილებლობა, რწყვის შემდეგ მიწის ზედაპირზე ქერქის წარმოქმნა, მიწის ზედაპირის სპეციალური დამუშავების (მოშანდაკების) აუცილებლობა და სხვა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კულტურის მოყვანის დროს რწყვის ამ ხერხებს დღემდე ალტერნატივა არ გააჩნია. ამავე დროს ბევრ რეგიონში სხვა კულტურების მოყვანის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს რწყვის თანამედროვე რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს (მაგ. წვეთოვანი ან დაწვიმებითი რწყვა) [1,2].

რწყვის რეჟიმების ოპტიმიზაციის აქტუალობა გამოიხატება იმით, რომ არსებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანია „საქართველოს მელიორაციის“ პრიორიტეტული ამოცანაა (დღეისთვის ფაქტიურად ირწყვება მელიორირებული ფონდის 28%). ახლო მომავალში უნდა ვივარაუდოთ მელიორირებული მიწების ექსპლუატაცია სრული დატვირთვით. ამ შემთხვევაში სარწყავი წყლის რესურსების არსებული შეზღუდვებისას გეგმიური და, შესაბამისად, ფაქტიური წყალმოხმარება იქნება მკაცრად ლიმიტირებული. ამასთან კავშირში, მნიშვნელოვანია რწყვის ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა და პოპულარიზაცია, რომლებიც ხელს შეუწყობენ სარწყავი წყლის ეკონომიას.

ეს პრობლემა განსაკუთრებით ყურადსაღებია კლიმატის ნავარაუდები ცვლილების გათვალისწინებით. მეტეოროლოგიური პროგნოზებით XXI საუკუნის ბოლოსთვის

საქართველოში მოსალოდნელია ტემპერატურის მატება და ნალექების კლება. ეს ტენდენცია ვრცელდება როგორც საშუალო წლიურ, ასევე ზაფხულის თვეების მონაცემებზე, რაც ბუნებრივია, იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმებზე. თუ დავამატებთ, რომ ტემპერატურის მატება და ნალექების კლება მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს მთიან და მაღალმთიან რეგიონებში, ცხადი ხდება, რომ 75–80 წლის შემდეგ სარწყავი წყალი შეიძლება დეფიციტური გახდეს.

ჰაერში წყლის დეფიციტზეა დამოკიდებული ოპტიმალური ტენიანობის პირობებში მცენარის მიერ წყლის მთლიანი ხარჯვა (ტრანსპირაცია და ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლება). აღნიშნული დეფიციტის ზრდასთან ერთად იზრდება მცენარის მიერ წყლის მთლიანი ხარჯვა.

ატმოსფერული ნალექები სავეგეტაციო პერიოდში ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ შეფარდებას ჰაერში წყლის დეფიციტსა და მთლიან ხარჯვას შორის და სინამდვილეში ადგილი აქვს მათ შორის ზოგჯერ საგრძნობ სხვაობას. ამიტომ რწყვის ამოცანას შეადგენს ამ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, რაც საჭიროებს მორწყვის ნორმების დადგენას, ვადების შერჩევას და კორექტირებას. რადგან რწყვა დროის გარკვეულ ინტერვალში ტარდება, ცხადია ამ ინტერვალში ნიადაგის ტენიანობა ცვლილებას განიცდის. რწყვის საშუალებით უნდა დამყარდეს მცენარისათვის სასურველი წყლისა და ჰაერის რეჟიმი ნიადაგის აქტიურ ფენაში (იმ ფენაში, სადაც გავრცელებულია მცენარეთა სისტემის ძირითადი ნაწილი) [3, 4].

აქტიური ფენა დამოკიდებულია როგორც თვით კულტურაზე, ისე ნიადაგის გატენიანების ინტენსივობაზე და სიღრმეზე. მცირე სიღრმეზე გატენიანების გამო აქტიური ფენა შეიძლება მცირე იყოს, სასურველი არ არის ფესვთა სისტემის სიღრმის ხელოვნურად შემცირება, ვინაიდან ამით შემცირდება მცენარისათვის გამოსაყენებელი ნიადაგის მოცულობაც და, მასთან ერთად, საკვები ნივთიერების მიწოდება.

აქტიური ფენის ჩვეულებრივ სიღრმედ თვლიან: ბოსტნეული მცენარეებისათვის 0,3-0,5 მ. მინდვრის მცენარეებისათვის 0.6-0.7 მ. მრავალწლიანი ნარგავებისათვის 0,7-0,8-1 მ. ერთი და იმავე მცენარისათვის აქტიური ფენა განვითარების ფაზების მიხედვით იცვლება.

მორწყვის ნორმის განსაზღვრა რამდენიმე წესით შეიძლება, თუ გამორკვეული გვაქვს ნიადაგში არსებული წყლის მარაგი და ვიცით ნიადაგის მაქსიმალური ტენიანობა (ზღვრული წყალტევადობა), მათი სხვაობა მოგვცემს მორწყვის ნორმას. ტენიანობის მაქსიმუმის მაჩვენებელია ზღვრული წყალტევადობა [5].

$$m = W_{\text{მაქ}} - W_0 \quad (1)$$

სადაც:  $m$  არის მორწყვის ნორმა ( $\text{მ}^3$  ჰა-ზე) ;

$W$  - მაქსიმალური რაოდენობა ( $\text{მ}^3$ );

$W_0$  - ნიადაგში არსებული წყლის მარაგი ( $\text{მ}^3$ ).

კვლევებით დადასტურებულია, რომ მელიორაციაში ზღვრულ წყალტევადობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ თვისებით ნიადაგი შეაკავებს და შემდეგ ამარაგებს მცენარეს სასარგებლო ტენით. ნიადაგს რომ ეს უნარი არ ჰქონდეს, მაშინ

ტენის მთელი მარაგი სიღრმეში ჩაიჟონება და მცენარისათვის უსარგებლო იქნებოდა. მცენარისათვის ოპტიმალური ტენიანობის ზედა საზღვრად მიღებულია სწორედ ზღვრული წყალტევადობა, ხოლო ქვედა საზღვრად მისი 70%...80%-ზე საჭიროა მორწყვის ჩატარება, ვინაიდან მცენარე თანდათანობით კარგავს ტენის შეთვისების უნარს და იწყებს ჭკნობას.

ცხრილ 1-ში მოცემულია მუხრან-საგურამოს ველის ნიადაგის სხვადასხვა ტიპისათვის ზღვრული წყალტევადობის მახასიათებლები, ხოლო ცხრილ 2-ში შემოთავაზებულია მოცულობითი მასის  $\alpha$  მაჩვენებლები. ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის ლაბორატორიაში.

ცხრილი 1

ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა

#	მახასიათებლების დახასიათება	განზ. ერთ.	რაოდენობა
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	16-32
2	ცილინდრის N		5
3	ცილინდრის წონა ბადით და სველი ფილტრის ქაღალდით, $m_1$	გრ	241.01
4	ცილინდრის წონა ფილტრითა და ნიადაგით, $m_2$	გრ	2541.8
5	ნიადაგის წონა ცილინდრში, $m_3 = m_2 - m_1 = 2541,8 - 241.01 = 2300,79$	გრ	2300,79
6	ნიადაგის ტენი პროცენტებში, $r$	%	26,85
7	აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონა ცილინდრში, $m_4 = 100 \times m_3 : 100 + r = 100 * 2300,79 + 26,85 = 2813,79$	გრ	2813,79
8	გაჟღენთილი ნიადაგის წონა ცილინდრით ბადით, $m_5$	გრ	2612,15
9	გაჟღენთილი ნიადაგის წონა $m_6 = m_5 - m_1 = 2612,15 - 241.01 = 2371.19$	გრ	2371,19
10	წყლის წონა გაჟღენთილ ნიადაგში $m_7 = m_6 - m_4 = 2371,19 - 241.01 = 557,7$	გრ	557.7
11	ნიადაგის ზღვრული წყალტევადობა აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონის მიმართ პროცენტებში $m_8 = m_7 \times 100 : m_4 = 557.7 \times 100 : 2813,79 = 30,71$	%	30,71

ცხრილი 2

ნიადაგის მოცულობითი მასის მაჩვენებლები

#	დასახელება	განზ. ერთეული	ცდით მიღებული შედეგები
1	ნიმუშის ალების სიღრმე	სმ	16-32
2	ცილინდრის #	7	
3	ცარიელი ცილინდრის $m_1$	გრ	328,9
4	ცილინდრის და ნიადაგის წონა $m_2$	გრ	2891,5

5	ცილინდრში მოთავსებული ნიადაგის წონა $m_3 = m_2 - m_1 = 2891,5 - 328,9 = 2562,6$	გრ	2562,6
6	ნიადაგის ტენი $r$	%	26,85
7	ცილინდრში არსებული ნიადაგის წონა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში $m_4 = 100 \times m_3 : 100 + r = 100 * 2562,6 : 100 + 26,85 = 2020,18$	გრ	2020.18
8	ცილინდრის რადიუსი $R$	სმ	6.0
9	ნიადაგის სისქე ცილინდრში $H$	სმ	15,8
10	ნიადაგის მოცულობა $W = \pi R^2 H = 3.14 \times 36 \times 15,8 = 1786.0$	სმ <sup>3</sup>	1786.0
11	მოცულობითი წონა $\alpha = m_4 : W = 2020,18 : 1786.0 = 1,3$	გრ/სმ <sup>3</sup>	1.3

### დასკვნა

მიღებული შედეგები საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას და ფერმერებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის რწყვის რეჟიმის გაანგარიშების შემდეგ განსაზღვროს მთლიანი სარწყავი ფართობის რწყვის რეჟიმი თვითნებური კულტურის წყალმოთხოვნილების გათვალისწინებით. ამის შედეგად მივიღებთ სარწყავი წყლის საჭირო მოცულობას, რომელიც უნდა მიეწოდოს მთელ სარწყავ ფართობს პერიოდულად, გარკვეულ ინტერვალებში, ისეთი საინჟინრო მელიორაციული საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა: ყველა კულტურის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა, დროის ამა თუ იმ მომენტში დროის ერთეულში საჭირო წყალი, როგორი უნდა იყოს არხების გამტარუნარიანობა და, მაშასადამე, მათი ზომები, რამდენად აკმაყოფილებს კვების წყარო სარწყავი წყლის მოთხოვნებს და ა.შ., საჭიროა გვეჩვენოს სარწყავი წყლის მოთხოვნილების საერთო სურათი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის წყალია საჭირო ცალკეული პერიოდების დროის ერთეულში.

### ლიტერატურა

1. გ. ტულუში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის წესები და მათი სრულყოფის გზები. თბილისი, 1986 წ., 242 გვ.;
2. გ. გავარდაშვილი. ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, მეორე გამოცემა, 2018 წ., 410 გვ.;
3. დ. გუბელაძე, ო. ხარაიშვილი. სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია. სალექციო კურსი. სტუ., 2015 წ., 180 გვ.;
4. გ. ტულუში, პ. ტულუში, ო. ხარაიშვილი. სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკური მელიორაცია, მიწების მორწყვის განსაკუთრებული სახეები, გაწყლოვანება და წყალმომარაგება. თბილისი, 2000წ., 78 გვ.;
5. ი. ჩხენკელი. სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია. თბილისი, 1970, 276 გვ.

**ИННОВАЦИОННАЯ НАПЛАВНАЯ КОНСТРУКЦИЯ ВОДОЗАБОРНОГО  
СООРУЖЕНИЯ В СОСТАВЕ ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО КОМПЛЕКСА  
СИСТЕМ МНОГОЦЕЛЕВОГО ВОДОСНАБЖЕНИЯ ГОРОДСКИХ  
ХОЗЯЙСТВ И ОБЪЕКТОВ ЭКОНОМИКИ**

**Хецуриани Е.Д.<sup>1), 2)</sup>, Бондаренко В.Л.<sup>3)</sup>, Ылясов А.И.<sup>4)</sup>,  
Штавакер М.И.<sup>3)</sup>, Хецуриани Т.Е.<sup>5)</sup>**

<sup>1)</sup> Южно-Российский Государственный Политехнический Университет (НПИ)  
им. М.И. Платова

ул. Просвещения 132, Ростовская обл., 346428, г. Новочеркасск, Российская Федерация;

<sup>2)</sup> Донской Государственный Технический Университет

Пл. Гагарина 1, 344000, Ростов-на-Дону, Российская Федерация;

<sup>3)</sup> Новочеркасский Инженерно-Мелиоративный Институт

Донского Государственного Аграрного Университета

ул. Пушкинская 111, Новочеркасск, Российская Федерация;

<sup>4)</sup> Филиал WTL (США) в Азии,

ул. Новаторов д. 7А корп. 2, г. Москва, Российская Федерация;

<sup>5)</sup> Ростовский Государственный Медицинский Университет

пер. Нахичеванский 29, г. Ростов на Дону, Российская Федерация


*E-mail: goodga@mail.ru; nimi.TBiP@yandex.ru, allaberdi\_il@mail.ru,*

*Shtawkader.marya@yandex.ru. xeczuriani.tima@mail.ru*


**Введение**

В развитии нового методологического подхода возникла необходимость в пересмотре действующей многие десятилетия конструктивной парадигме, связанной с использованием традиционных конструктивных материалов (металл, бетон, железобетон) при создании различных типов водозаборных сооружений и на «В.Т.К.». Следует отметить, что действующие в настоящее время различные типы водозаборных сооружений из традиционных материалов не отвечают современным требованиям по показателям ЭП и, соответственно, не могут обеспечивать необходимую ЭБ [2-4].

Для обеспечения ЭП в отдельных конструктивных элементах и конструкциях в целом водозаборном сооружении в составе «В.Т.К.» нами был принят новый конструкционный материал в виде высокопрочной синтетической ткани, который широко используется в строительстве трансформируемых конструкций для различного функционального назначения. Для водозаборных сооружений «С.М.В.» городских хозяйств тканевые материалы, как показали результаты исследований, используются в создании мягких наплавных конструкций (МНК), выполняемых из высокопрочных синтетических тканевых материалов, размещаемых в расчетном створе водного объекта с учетом гидравлической структуры водного потока [6]. МНК водозаборного сооружения включает в себя подвижный гибкий экран, размещаемый на глубине водного потока в расчётном береговом створе водного объекта, верхняя кромка которого крепится к системе поверхностных поплавков (2), а нижняя кромка - к системе заглубленных поплавков (3), которые удерживаются в плановом размещении на водной поверхности и на глубине якорными устройствами (4) через гибкие связи (5). Заглубленный гибкий экран (6) размещается на определенном расстоянии от водозаборного окна (7), который выполняет функцию отвода донных видов ихтиофауны и донных наносов от водозаборного окна, в котором скорость водного потока  $u$ , исходя из физических особенностей ихтиофауны, не должна превышать 0,1-0,15 м/с.



**Рис. 1. Водозаборный технологический комплекс «Системы многоцелевого водоснабжения» городов Ростов-на-Дону, Аксай, Батайск**



**Рис. 2. МНК Водозаборного сооружения в составе «В.Т.К.» «С.М.В.»:**  
**1-гибкий экран задаваемой формы по глубине водного потока; 2-система поверхностных поплавков;**  
**3-системы заглубленных поплавков; 4- якорные устройства; 5- гибкие связи;**  
**6- заглубленный гибкий экран; 7- водозаборное окно**



## Материалы и методы

Исследованиями установлено, что МНК водозаборного сооружения в составе «В.Т.К.» ПТС «П.В.С.-В.Т.К.-С.М.В.» обладает рядом конструктивных и функциональных преимуществ в сравнении с водозаборными сооружениями, выполненными из традиционных материалов. Наиболее важными преимущественными показателями являются:

- высокий уровень ЭП к окружающей природной среде [1-3];
- многофункциональность, связанная с обеспечением сохранения биоразнообразия ихтиофауны и водной растительности в водном объекте, защиты водозаборного ковша от донных и взвешенных наносов, шуги и плавающих предметов, поступающих из водного объекта [12-13];
- возможность быстрого монтажа и демонтажа сооружения;
- достаточно низкая масса и высокая транспортабельность;
- широкие возможности в автоматизации и управлении и др.

Для МНК водозаборных сооружений в составе «В.Т.К.» городских хозяйства объектов экономики разработаны три базовых конструктивных элемента: перегораживание верхних слоев водного потока гибким экраном, перемеживание нижних слоев водного потока гибким экраном (1) (рис. 2); перегораживание нижних (донных) слоев водного потока гибким экраном (6) (рис. 2); перегораживающий гибкий экран по всей глубине водного потока в виде глухой части сооружения для сопряжения с беговыми устоями на водном объекте [6].

Для обеспечения устойчивой функциональной работы МНК водозаборного сооружения важными расчетными элементами являются: - определение гидростатического, гидродинамического давления и волновые нагрузки на гибкий экран (1,6), по данным которых выполняется расчет мягкой оболочки гибких экранов.

## Результаты исследований

При отборе расчетных расходов воды через донное водозаборное окно (рис. 2), суммарный гидростатический и скоростной напор водного потока определяется по формуле:

$$Z_0 = \frac{v^2}{2gM^2} \quad , \quad (1)$$

где  $M$  – коэффициент расхода для затопленного отверстия с плавными боковыми подходами,  $M=0,8-0,85$ ;  $v$  – скорость подхода водного потока к сооружению (рис. 1).

Удельный расход ( $q$ ) отбора воды в водозаборном окне определяется по формуле:

$$q = m\sqrt{2g}H^{3/2} \quad , \quad (2)$$

где  $m$  – коэффициент расхода для подтопленного водослива, определяемый по формуле Базена:

$$m = \left(0,405 - \frac{0,0027}{H}\right) \cdot 1,05 \left(1 + 0,2 \frac{H-Z}{\rho}\right) \cdot \sqrt{Z/H} \quad ,$$

где  $H$  – напор воды на гребне водослива.




Рисунок 3. Расчетная схема для определения  $Z$

Определение перепада  $Z$  сводится к решению нелинейного уравнения в неявной форме по  $Z$ :

$$q = \left[ (0,405 - \frac{0,0027}{H}) \cdot 1,05(1 + 0,2 \frac{H-Z}{\rho}) \cdot \sqrt{\frac{Z}{H}} \right] \cdot \sqrt{2g} H^{3/2} \quad (3)$$

Суммарный напор на гибкий экран состоит из статического перепада В.Б. и Н.Б. (рис. 1)  $Z$  и скоростного напора  $\frac{v^2}{2gM^2}$ .

Волновая нагрузка от ветровых и судовых волн на гибкий экран (1) определяется с учётом скоростного напора частиц воды, где в расчёте принимается относительная скорость  $u_{отн}$  элемента оболочки гибкого экрана  $u_{об}$  и воды  $u_{вод}$ , спроецированной на нормаль  $\bar{n}$  элемента оболочки (рис. 4). Скоростной напор от волны  $P^{вол}$  определяется:

$$P^{вол} = \frac{u_{отн} \bar{n}}{2g}, \quad (4)$$

а с учетом направления  $P^{вол} = \frac{|u_{отн} \bar{n}| u_{отн} \bar{n}}{2g}$

$$u_{отн} = u_{вод} - u_{об} \quad (5)$$




Рисунок 4. Векторная схема скоростей

В реальных условиях на водных объектах встречаются преимущественно прогрессивные волны, поэтому скорость частиц воды рекомендуется определять по зависимостям:

$$u_z^{вод} = Ce^{kz} k \cos(\sigma t + kx) \quad (6)$$

$$u_z^{вод} = kCe^{kz} \sin(\sigma t + kx) \quad , \quad (7)$$

где  $\sigma$  – угловая скорость;  $k = \sigma^2/g$  – волновое число;  $C = ag/$  – постоянная интегрирования;  $a$  – амплитуда волны;  $x$  и  $z$  – координаты точек воды;  $t$  – время.

Скорость элементов оболочки гибкого экрана для каждого момента времени определяется по формуле:

$$u_{xi}^{об} = \frac{dx_i^{об}}{dt}; \quad u_{zi}^{об} = \frac{dz_i^{об}}{dt} \quad , \quad (8)$$

где  $u_{xi}^{об}$  и  $u_{zi}^{об}$  – перемещение  $i$ -ого элемента оболочки гибкого экрана за время  $dt$  в направлении  $X$  и  $Z$  соответственно.

Расчет выполняется численным методом по разработанной нами программе для LBM (ЭВМ).

Методика расчета конструктивных элементов МНК

На основе результатов теоретических исследований МНК, в которых гибкий экран из тканевых материалов рассматривается как цилиндрическая оболочка, расчет цилиндрической оболочки выполняется на основе решения системы линейных уравнений в соответствии расчетной схемы (рис. 5 а).




Рисунок 5. а - Расчетная схема для составления дифференциальных уравнений; б - Расчетная схема для углублённого гибкого экрана; в - расчетная схема для гибкого экрана (1)

$$\begin{cases} ds = \frac{d(T \cos \alpha) \cos \alpha}{P \sin \alpha} \\ dz = \frac{d(T \sin \alpha) \sin \alpha}{P \cos \alpha - q} \\ ds = \frac{T d\alpha}{P} \end{cases} \quad (9)$$

Решение системы уравнений (9) при учете нелинейности функциональных зависимостей  $p=f(s)$  и  $ds=f(T)$  выполняется по разработанной программе на ЭВМ.

Инженерный расчет основан на разбивке мягкой оболочки на конечное число взаимосвязанных элементов. Процедура расчета  $i$ -го элемента гибкого экрана оболочки выполняется в последовательности:

$$T_{i+1} = T_i - q_0 \left( Z_i + \Delta S_i \frac{\sin \alpha_i}{2} \right) \quad (10)$$

$$\Delta S_{i+1} = \frac{l_{ЭК}(T_i)}{n}$$

$$\Delta \alpha = P \left( Z_i + \Delta S_i \frac{\sin \alpha_i}{2} \right) \quad (11)$$

$$\alpha_{i+1}$$

$$\Delta \alpha = \alpha_i + \Delta \alpha \quad (12)$$

$$X_{i+1} = X_i + \Delta S_i \cos \alpha_{i+1} \quad (13)$$

$$Z_{i+1} = Z_i + \Delta S_i \sin \alpha_{i+1} \quad (14)$$

Где  $q_0$  погонный вес экрана – оболочки;  $T_i$  - усилие в  $i$ -ом элементе;  $\Delta S_i$  - шаг по длине оболочки;  $l_{\text{эк}}(T_i)$  - длина экрана оболочки (периметр по высоте);  $\alpha$ ,  $\Delta\alpha$  – текущий угол и приращение по углу;  $X_i$ ,  $Z_i$ ,  $X_{i+1}$ ,  $Z_{i+1}$  - координаты концов элемента. Расчет выполняется по программе, составленной для ИВМ и ЭВМ

Определение усилия  $T_0$  и начального угла  $\alpha_0$  выполняется методом Ньютона-Канторовича, при котором процедура расчета экрана-оболочки разделяется на две функции:

$$\begin{cases} X_{\text{эк}}(T_0, \alpha_0) = D \\ Z_{\text{эк}}(T_0, \alpha_0) = H \end{cases}, \quad (15)$$

Где  $D$  - смещение по  $X$  между верхней и нижней крошки экрана-оболочки;  $H$  - превышение верхней кромки над нижней крошкой.

Для случая, когда положение верхней кромки и нижней кромки гибкой экрана-оболочки зависит от выталкивающей силы поверхностной и заглубленной систем поплавков,  $F^n$  функции нагрузки  $p(z)$ , составляется уравнения «параметров» по  $X$  и по  $Z$ , а действующий фактор «завязывается» в определений геометрических параметров водозаборного сооружения. Так, для составления системы уравнений для расчета донного заглубленного гибкого экрана (рис. 5,б) составляются уравнения равновесия системы заглубленных поплавков (рис.5,б):

$$\begin{cases} F\Pi = R_{\text{тп}} \cdot \sin \varphi + T_0 \cdot \sin \alpha_0 \\ R_{\text{тп}} \cdot \cos \varphi = T_0 \cdot \cos \alpha_0 \end{cases} \quad (16)$$

Откуда значение угла ( $\varphi$ ) определяется по формуле:

$$\varphi = \arctg \left( \frac{F^n - T_0 \sin \alpha_0}{T_0 \cos \alpha_0} \right) \quad (17)$$

и уравнения «Периметров» запишутся:

$$\begin{cases} f_1'' = X(T_0, \alpha_0) - B + l_{\text{тп}} \cdot \cos \varphi = 0 \\ f_2 = X(T_0, \alpha_0) - l_{\text{тп}} \cdot \cos \varphi \end{cases} \quad (18)$$

Аналогичные уравнения периметров будут при расчете вертикального полотнища-экрана с системой поверхностных и заглубленных поплавков и гибких связей (рис. 2(1)).

Расчет усилий в тканевом полотнище-экрана выполняется с учетом гидростатического и гидродинамического воздействия от волновых нагрузок.

Расчет выполняется по методу предельных состояний, т.е. наибольшее усилие не должно превышать его несущей способности:

$$T \leq \frac{\gamma_{cd} \cdot R}{\gamma_n \cdot \gamma_{ic}} \quad (19)$$

где  $T$  - наибольшее расчетное усилие;  $\gamma_{cd}$  - коэффициент условий работы;  $\gamma_n$  - коэффициент сочетания нагрузок;  $R$  - несущая способность системы поплавков.

Расчетное усилие в тканевом материале полотнище-экране определяется по выражению:

$$T = T^n \cdot K_0 \cdot K_{\text{дв}} \cdot K_{\text{ст}} \cdot K_{\text{дл}} \cdot K_{\text{т}} \cdot K_{\text{дин}} \cdot K_{\text{у.р.}} \cdot K_{\text{шв.}}$$

где  $T^n$  - нормативное усилие в ткани гибкого экрана, кН/м;  $K_0=0,7-0,8$ -коэффициент однородности материала;  $K_{\text{дв}}=0,9$ -коэффициент длительности прочности;  $K_{\text{т}}=0,80-0,95$ -температурный коэффициент;  $K_{\text{дин}}=0,80-0,95$ -динамический коэффициент;  $K_{\text{шв.}}=0,80-0,95$ -коэффициент прочности швов;  $K_{\text{у.р.}}$ -коэффициент условий работы.

Для обеспечения эксплуатационной надежности возникающие усилия в тканевом гибком экране рекомендуется уменьшать в пределах от 2-х до 7 раз [6].

На основе результатов исследований и опыта эксплуатации конструкции из тканевых материалов системы поверхностных и заглубленных поплавков рекомендуется выполнять из стальных электросварных прямошовных труб (ГОСТ 10704-76 ст. СЭВ 490-77).

На стадии проектирования периметр вертикального полотнища-экрана ( $L_{в.п.}$ ) конструктивно определяется из выражения:

$$L_{в.п.} = Z \cdot K_p + a + hb/2 \quad (20)$$

где  $Z$  высота поверхностного слоя водного потока (рис. 5.в) определяется разностью отметок систем поверхностных и заглубленных поплавков;  $K_p$  - конструктивный коэффициент, принимаемый в пределах 1,5-1,6;  $a$  - конструктивно принимается в зависимости от колебания уровней воды на водном объекте в период эксплуатации водозаборного сооружения;  $h$ -высота ветровой волны на водном объекте 5% обеспеченности или высоты волны от речных судов.

Рабочий периметр заглубленного вспомогательного гибкого экрана ( $b$ )(рис. 5,б) конструктивно определяется выражением:

$$L_{з.п.} = (1.4 - 1.5)h_{ок} , \quad (21)$$

где  $h_{ок}$  - высота водозаборного окна.

Пространственное размещение заглубленного донного гибкого экрана (рис. 2) относительно вертикального подвижного полотнища-экрана определяется расстоянием ( $B$ ), которое принимается из условий необходимой гидравлической структуры потока перед водозаборным окном для отвода молоди донных видов рыб, донных наносов и составляет в пределах (1,75-2,5)  $h_{ок}$ .

### Расчет гибких связей и якорных устройств

Исследованиями установлено, что максимальные напряжения в гибких связях возникают при волновых нагрузках на систему поверхностных поплавков (рис. 2). Оценка волновых нагрузок на МНК водозаборного сооружения выполняется в соответствии со СНиП 2.06.04-82 «Нагрузки и воздействия на гидротехнические сооружения» (волновые, ледовые и от судов).

Максимальное усилие в гибкой связи (каната) возникает в месте крепления с системой поверхностных поплавков и определяется по выражению:

$$N_{max} = \sqrt{R^2 + (F_A - F)^2} \leq R \quad (22)$$

Уравнение формы гибкой связи при угле атаки волны  $\alpha=90$  град. и возможности неучета её массы имеют вид:

$$\begin{cases} X = \frac{1}{2}[ch(C_i) - ch(\alpha z + C_i)] \\ l_{св} = \frac{1}{2}[ch(\alpha z + C_i)ch(C_i)] \end{cases} , \quad (23)$$


где  $C_i = \ln tg \frac{q_b}{q} - \alpha h$

Для общего случая ( $q=0$ ,  $\alpha \leq 2 \leq 90$ град.  $\delta=f(z)$ ) разработана программа численного расчета на ЭВМ.

$$N_{max} = f_1(h, \lambda, C, d); \quad x = f_2(h, \lambda, C, d, z); \quad l = f_3(h, \lambda, C, d, z) , \quad (24)$$

где  $h$  высота волны;  $\lambda$  - длина волны;  $C$  - скорость волны;  $d_n$  - диаметр поплавков;  $Z$  - переменная ( $0 \leq Z \leq h$ ).

Якорные устройства выполняются из железобетона в виде плит с петлями для крепления гибких связей. Якорные устройства удерживаются силами гравитации, трения о грунт и присасывания к грунту (рис.6).



**Рисунок 6. Расчетная схема якорного устройства, где  $f_{тр}$ -коэффициент трения бетона о грунт;  
 $G_{Q.Y.}$ -масса взвешенного в воде якорного устройства**

Масса якорного устройства должна составлять не менее:

$$G_{Q.Y.} = \frac{R(\cos\alpha + f_{тр}\sin\alpha)}{f_{тр}} \quad (24)$$

Объем железобетонной плиты определяется по формуле:

$$V_{Q.Y.} = \frac{G_{Q.Y.}}{\gamma_б - \gamma_в} \quad , \quad (25)$$

где  $\gamma_б$  удельный вес железобетона,  $\gamma_б=24-25\text{кН/м}^3$ ;  $\gamma_в$  - удельный вес воды  $\gamma_в=10\text{кН/м}^3$ .

Коэффициент трения бетона по грунту  $f_{тр}$ , в воде: по суглинку 0,3-0,45; по песку мелкому 0,4-0,55; по крупному песку 0,5-0,7; по гравию 0,6-0,8.

### Выводы

1. Анализ конструкций водозаборных сооружений, выполняемых из традиционных материалов (металл, бетон, железобетон) показал низкий уровень экологической приемлемости к окружающим природным средам и недостаточность обеспечения современных экологических требований;
2. Использование высокопрочных синтетических тканевых материалов позволило создать МНК водозаборного сооружения в составе «В.Т.К.», что позволяет повысить уровень экологической приемлемости и обеспечить экологическую безопасность по основным критериальным показателям;
3. На основе результатов теоретических исследований МНК водозаборного сооружения в составе «В.Т.К.», разработаны методики расчета конструктивных элементов из тканевых материалов при различных режимах работы сооружения во взаимодействии с водной средой водного объекта.

### Литература

1. Бондаренко В. Л., Блясов А. И., Хецуриани Е. Д. Монография - Научно-методологические основы природно-технических систем в использовании водных ресурсов: территории бассейновых геосистем., Новочеркасск, 2019.
2. Бондаренко В. Л., Скибин Г. М., Азаров В. Н., Семенова Е. А., Приваленко В. В. Экологическая безопасность в природообустройстве, водопользовании и строительстве: оценка экологического состояния бассейновых геосистем: Монография, Южно-Российский государственный политехнический университет (НПИ) имени М. И. Платова. – Новочеркасск: ЮРГПУ (НПИ), 2016. – 419 с.
3. Бондаренко В. Л., Семенова Е. А., Алиферов А. В., Клименко О. В. Природно-технические системы в использовании водных ресурсов: территории бассейновых геосистем: монография. Новочеркасск: ЮРГПУ(НПИ), 2016. 204 с.
4. Бондаренко В. Л., Дьяченко В. Б. Оценка экологического состояния бассейновой геосистемы в процессах использования водных ресурсов // Проблемы региональной экологии № 2, 2005 – С. 86–92.

5. Будыко М. И., Дроздов О. А. О влагообороте на ограниченной территории суши // Вопросы гидрометеорологической эффективности полезащитного лесоразведения. – Л.: Гидрометеоздат, 1950.– 248 с.
6. Волосухин В. А., Бондаренко В. Л. Строительные системы охраны водных ресурсов с использованием конструкций из тканевых материалов: монография, Новочеркасская гос. мелиор. академия. – Новочеркасск, Колорит, 2008. -164 с.
7. Лосев К. С. Экологические проблемы и перспективы устойчивого развития России в XXI веке.– М.: «Космосинформ». – 2001. – 400 с.
8. Речные бассейны / под ред. А. М. Черняева; РосНИИВХ.– Екатеринбург: Изд. «Агроэкология», 1999. – 356 с.
9. Хецуриани Е.Д., Костюков В.П., Угроватова Е.Г. 2016 Гидрологические исследования на реке Дон-в-Александровский ОСВ Водозаборные сооружения // Procedia техники. – Том. 150: (2-я Международная конференция по Промышленному машиностроению, ICIE, 2016; Челябинск; Российская федерация; 19 мая 2016) С. 2358-2363.
10. Хецуриани Е.Д., Хецуриани Т.Е. 2016 года будут приняты меры по борьбе с эвтрофикацией водоемов // (приоритетных задач и стратегий развития сельскохозяйственной науки: Сб. наука тр. на базе стажера. Научно-практ. конф., 25 мая 2016 / FTSNiOEVENISIS). – Тольятти, - С. 11-13.
11. Хецуриани Е.Д., Фесенко Л. Н., Богачев А. Н., Мордвинув М. М., Пурас Г. Н., Душенко А. Ю., Бечвая Р. С., Пельчер А. В. Анализ работы Александровского ковшевого водозабора с учетом руслового режима и рыбоводнобиологических показателей реки Дон // Инженерный вестник Дона: [электрон. журнал]. 2015. №4
12. Хецуриани Е.Д., Костюков В. П., Хецуриани Т. Е. Analysis and Evaluation of Parameters Determining Maximum Efficiency of Fish Protection // IOP Conference Series: Materials Science and Engineering. – 2017. – Vol. 262
13. Хецуриани Е.Д., Бондаренко В. Л., Полянский Н. А. Methodological bases of creation and development of a new type of natural and technical system of multipurpose water use un urban areas // IOP Conference Series: Materials Science and Engineering. – 2018. – Vol. 262.
14. Хецуриани Е.Д.,Бондаренко В.Л., Блясов А.И., Семенова Е.А. The results of the research on the pipelines protection from Dreissena on the water intake technological complexes of multi-purpose water supply systems for urban farms [Электронныйресурс] IOP Conference Series: Materials Science and Engineering. - 2019. - Vol. 698 : International Scientific Conference "Construction and Architecture: Theory and Practice of Innovative Development", 1–5 October 2019, Kislovodsk, Russian Federation. - № 055041. - URL : <https://iopscience.iop.org/article/10.1088/1757-899X/698/5/055041/pdf>
15. Хецуриани Е.Д.,Бондаренко В.Л., Блясов А.И., Семенова Е.А. Lightweight constructions in technical water supply systems of thermal and nuclear power plants [Электронныйресурс] IOP Conference Series: Materials Science and Engineering. – 2019. Vol. 698: International Scientific Conference "Construction and Architecture: Theory and Practice of Innovative Development", 1–5 October 2019, Kislovodsk, Russian Federation. № 055042. - URL: <https://iopscience.iop.org/article/10.1088/1757-899X/698/5/055042/pdf>
16. Хецуриани Е.Д., Бондаренко В.Л., Блясов А. И., Семенова Е.А Innovative design solutions to ensure the environmental safety in the existing water intake technological complexes of water systems for urban farms [Электронный ресурс] IOP Conference Series: Materials Science and Engineering. - 2019. - Vol. 698: International Scientific Conference "Construction and Architecture: Theory and Practice of Innovative Development", 1–5 October 2019, Kislovodsk, Russian Federation. - № 055040. - URL : <https://iopscience.iop.org/article/10.1088/1757-899X/698/5/055040/pdf>
17. Хецуриани Е.Д.,Бондаренко В.Л., Блясов А.И., Семенова Е.А. Development of protective measures providing environmental safety in areas affected by water-intake constructions of urban households IOP Conference Series: Materials Science and Engineering. - 2019. Vol. 698: International Scientific Conference "Construction and Architecture: Theory and Practice of Innovative Development", 1–5 October 2019, Kislovodsk, Russian Federation. - № 077053. URL :<https://iopscience.iop.org/article/10.1088/1757-899X/698/7/077053/pdf>.



---

---

## ანოტაციები

გარემოს დაცვა

### აზერბაიჯანში მცირე მდინარეების ეკოსისტემების აღდგენის ღონისძიებები

ი. აგაევი, ბ. აჰმადოვი, ტ. ზეინალოვი, ა. მუსლუმოვი

აზერბაიჯანის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საწარმოო ასოციაცია  
ბაქო, აზერბაიჯანი

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი მცირე მდინარეების გარემოს არსებულ ეკოლოგიურ პირობებს. განსაზღვრულია მათზე მავნე ზემოქმედების მიზეზები და მოცემულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** მდინარე, აუზი, მდინარის კალაპოტი, დინება, ნაგებობა, ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემა, ეროზია.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

### მდინარე მტკვარზე წყალდიდობის პოზიტიური ზემოქმედება გარემოზე

ვ. ალიევი<sup>1)</sup>, ზ. რამაზანლი<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი

<sup>2)</sup> აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი  
ბაქო, აზერბაიჯანი

სტატია ეძღვნება მტკვარი-არაქსის დაბლობის ტბა-მდინარეთა სისტემების პრობლემებს. კვლევის ობიექტებია ტბები - ჰაჯიკაბული, მეჰმანი და სარისუ. შესწავლილია მათი მორფომეტრიული პარამეტრები და წყლის ქიმიური თვისებები 2010 წლის წყალდიდობამდე და მის შემდეგ. დადგენილია წყალდიდობის შემდეგ ტბებში წყლის ხარისხის მნიშვნელოვანი აღდგენა. ბუნებრივი რეჟიმის შედეგად ხდება ნახშირწყალბადის იონების ზრდა 30-60%-ით და ქლორისა და სულფატების იონების შემცირება 8-12%-ით. ტბების ზედაპირის ფართობი 50-90%-ით იზრდება. ეს ფაქტორები მიუთითებს წყალდიდობის დადებით გავლენაზე მდინარე მტკვარსა და ტბების ეკოსისტემაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მდინარე მტკვარი, კალაპოტური პროცესები, წყალდიდობა, ტბა-მდინარეთა სისტემები.



ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

**კალაპოტური დეფორმაციების ექსპერიმენტული კვლევა**

**დ. გუბელაძე <sup>1)2)</sup>, ო. ხარაიშვილი <sup>1)</sup>, მ. კიკაბიძე <sup>1)2)</sup>, ნ. მეზონია <sup>1)</sup>**

<sup>1)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

<sup>2)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

ღია ნაკადის კალაპოტის წყალგამტარ ქვედა შრეში ინდუცირებული დინების გავლენით გამოწვეული კალაპოტური დეფორმაციის გაანგარიშების მეთოდების შემდგომი სრულყოფა და მისი გადაწყვეტის საინჟინრო მეთოდების შემუშავება წყლისმიერი ეროზიული პროცესების შესწავლის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით წყალგამტარ კალაპოტებში კალაპოტწარმომქმნელი პროცესების დარეგულირების დროს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიღებული საანგარიშო დამოკიდებულებების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად დაეხმარება საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეფექტური და საიმედო მეთოდების შემუშავებაში.

**საკვანძო სიტყვები:** კალაპოტი, წყლისმიერი ეროზია, კალაპოტქვეშა შრე, ეკოლოგიური წონასწორობა, ნაკადი, ჰიდროდინამიკური სტრუქტურა.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

**კოლხეთის დაბლობზე სამიარუსიანი კომბინირებული  
დრენაჟის საველე კვლევა და მისი შეფასება**

**მ. გუგუჩია <sup>1)</sup>, ჯ. მიგინიშვილი <sup>1)</sup>, გ. ვახტანგიშვილი<sup>2)</sup>**

<sup>1)</sup> გარემოს დაცვის ეკოცენტრი

<sup>2)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

ნაშრომში სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის საველე კვლევის მიზნით კოლხეთის დაბლობზე დიდი ჯიხაიშის საკვლევ პოლიგონზე მოეწყო ექსპერიმენტალური უბანი.

სამიარუსიან კომბინირებულ დრენაჟზე საველე ექსპერიმენტების განხორციელების მიზნით ადგილზე გაყვანილ იქნა ტრანშეა ორ რიგად, რომლის ზომებიც იყო: სიგრძე 18 მ, სიღრმე - 1,2 მ, ხოლო სიგანე - 0,6 მ.

საველე კვლევების მონაცემებით დადგენილია სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის ჰიდროლოგიური ეფექტურობა.

**საკვანძო სიტყვები:** კოლხეთის დაბლობი, სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟი.

**ძველ ცივილიზაციებსა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების, წყალარინებისა და გათბობის სისტემები**

**ო. დენისოვა<sup>1)</sup>, ნ. მეფარიშვილი<sup>1)</sup>, კ. ბზიავა<sup>1),2)</sup>, ი. ლეჟავა<sup>1)</sup>**

<sup>1)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

<sup>2)</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

